


345/3
1892

თბილისის
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

№ V



1892

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქუჩნაღის «ჯეჯილი»-სა

	ტკმ.
I. დედა და შვილი ლექსი — თეოფ. კანდელაკის	3
II. ღმერთი ხედავს ან თ. წ — სს	5
III. ხალხური ლექსი — აკაკის	10
IV. მოულოდნელი მტერი ფრანგულიდან გადმოღებული ა. თ. წ — სს	12
V. გამღელი ლექსი — წყვიასი	16
VI. კატა ღრუტუნას ზღაპრები ვაგნერიდან გ. ა — სს	18
VII. ერეკლე და სოლომონ მეფე იმერთა ლექსი წყვიასი	22
VIII. ჩვენი ძველი გმირები გ. წერეთლის	25
IX. ტყის მეფე ლექსი გერმანულიდან შ. მღვიმელის	33
X. ვეფხის-ტყაოსანი, ნამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის გ. ი — სს	35
XI. პატარა ბავში ლექსი — დ. კილაძის	48
XII. მეფე და ოქრომჭედელი (ზღაპარი)	49
XIII. პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, წერილი XII, ილიკოსი	51
XIV. ჩიტის ბუდე ალუბალზედ ან. თ. წ — სს	59
XV. მთვარის ახსნა, ყვავილების ლაპარაკი	61
XVI. ანდაზები, გამოცანები, შაირი, სამათემატიკო გამოცანები, შარადა და რებუსი	62

ვისაც სურს წარსული წლების „ჯეჯილი“-ს ნომრების ყიდვა, შეუძლიანთ იყიდონ ქ. ტფილისში ახალ გაღებულ ქართულ წიგნების საკითხავში (არწრუნისეულ ქარვასლის ეზოში) და ქ. ქუთაისში ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.





ჯეჯილი

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი

უ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დააურდი, გახდი ყანო!...

ა. ჯ.


ქ ე წ

წ ე ღ ი წ ა დ ი მ ე ს ა მ ე



ტ უ ი ლ ი ს ი

Типография Груз. Издат. Товарищества — სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა,
1892



ქართული
ენების ინსტიტუტი

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 Сентября 1892 года.

191

დედა და შვილი



ის უყვარხარ, ბავშვო, ძლიერ,
გიაღერსებს, გეფერება?
ვის არ უძძიმს შენი ცელქი
ყოფა-ქცევის შეფერება?

— დედას, დედას! მასზედ მეტად
ბავშვი ვიღას ეყვარება!

ვინ გიყვავებს, განებივრებს,
ვისთანა ხარ თავისნება?
ვის უკრთება დღე-ღამ ძილი
შენი ფიქრით, ჯავრით დნება?

— დედას, დედას, ჩემს დედიკოს,
მასზედ ტკბილი ვინ იქნება?

ვინ მოგიტოხრობს, ლექსს, არაკებს,
ვინ დაგძღერის ტკბილ ნანინას?
ვის შესტირებ შენს დარდს, ნაღველს,
უსრუნველად ვისთან გძინავს?

5972
19900

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს

— დედის, დედის კალთაში და
 ძუძუებში ჭვრავებ ბინას!

როცა უჩიობ, შრომის ნაცვლად
 ცელქობ, სწავლაც კესარება,
 ცრემლს ვინ აფრქვევს? შენი ცუდი
 ქცევა ვიღას ეჯარება?

— ისევ დედას! მასზედ უფრო
 ბავშვი ვიღას ეჯარება?

თეოდ. კანდელაკი



ეროვნული
 ბიბლიოთეკა
 ქ. თბილისი
 კ. მ. ხაჩიძის ქ.



ღმერთი ხედავს.

აბედა დაიღალა მუდმივ მუშაობით. ეს ცხრს თვე იყო, რაც ქმარი მოუკვდა და თითონ სარეცხის კეთებით ინახავდა თავის წვრილ-შვილს. მართალია უფროსი ძათ-განი, ათი წლის გიგა, ცოტაოდნად შველოდა ღედან: გარეცხილსა და გასარეცხს მიიტან-მოიტანდა, ცეცხლს დაუნთებდა, წებლს მოუხიდავდა, მაგრამ მანც საბედამ ვერ გაუძლო ჯაფას და ცუდ დროს, წამთრის ჰირში, ჩავარდა ლოგინად.

ერთს დილას საბედა ველარ ადგა ლოგინიდან და მოჭევა კენესას.

არც შეშა ჭქონდა, არც ნატამალი ფქვილი, არც საიმედო მესობელი ჭევიანდა.

— ვინ იცის, შვილები ისე ამოძიწედეს, რომ ვერც არავინ გაიგოს, კრუსუნებდა საბედა.

გიგა ღედან თავს დასტრიალებდა და ანუგეშებდა:

— ძე სადა გკონივარ, ღედავ, რომ აგრე სწუხარ. განა ახლა ისეთი დიდი არა ვარ, რომ ოჯახი შევინახო? მოიცა, გავაღ სანუშაოხედ და ნახავ, რა ბიჭი დავდგები.

მოჭევეს ჰატარები ტირილსა და ჰურის თხოვნას. გიგამ კიდობანში მონახა ცოტაოდენი გამხმარი ჰური, ამოფხიკა ქოთნიდან ლობიო და ამითი ჩახაჩუძა ჰაწაწები.

მერე გავიდა სახლიდან ადგილის სამეზობლად.

დადის გიგა ქუჩებში და ეძებს სამუშაოს. სახლში ვერაპის დაუდგება, რადგან დედას და პატარებს შინ ეურის გდება მოუნდებათ და დღიურად ათი წლის ბავშვს ვინ აიყვანს.

დადის ნაღვლიანად გიგა ქუჩებში. ქარვასლას ერთი ათჯერ მანც შემოუნარა, არა ეშველა-რა, არსადიან რჩენა არ არი, ძაღვ სამხრობაც მოატანს და შინ უნდა შევიდეს ხელცარეალი. გიგა ნაღვლიანი და დაფიქრებული, ის იყო, შინ უნდა წასულიყო, რომ უცებ, ქარვასლის შესახვევში, შეეფეთა ერთს მორთულს ქალს. გიგამ გზა დაუთმო და მიდგა კედელთან. ქალმა კაბის შრიალით გაიარა. გიგა ისევ თავის გზას დაადგა. ამ დროს ეძაწვილს ფეხებ ქვეშ მოედო რაღაც ბრჭყვიალი ნივთი. გიგა დასწვდა და აიღო. ეს იყო მშვენიერი ოქროს სამაჯური და ზედ ოქროსავე მკაფიონი ეკიდა.

ეძაწვილს ერთბაშად სინარულით სახე აენტო, მაგრამ ერთს წამს შემდეგ დაუწყო ქალს ძებნა. დაინახა, რომ ის საჩქაროდ ჩაჯდა ეტლში, მსახურიც ზედ დაისვა და გასწია. გამორდგა გიგა ჩასაჯდომს. მიაქანებს ქალი, მისდევს გიგა და ვერ მისწევია. გიგა სულს ძლივს იბრუნებს. ერთს წამს გახსნის ხოლმე მუჭას, დახედავს ბრჭყვიალს ოქროს და ისევ გაექანება. ლამის მთელი სოლოლაკი გაიაროს. ხან-დანან გიგა დაჰკარგავს ქალს თვალიდან, მაგრამ ისევ ისე დაინახავს გაექანება იმისაკენ. სოლოლაკის თავში ერთ კარებ წინ შედგა ეკიპაჟი. გიგამ დაინახა, რომ ქალი შევიდა სახლში და ამ დროს ესეც ქმენით მიადგა სახლს.

ამ ქალის მსახური, ჰატარა ბიჭი, ჯერ კიდევ კარებს
 ზედ იდგა, როდესაც გიგა მიუახლოვდა სახლს.

— მინდა შენი ქალბატონი ვნახო, უთხრა გიგამ.

— რაში მოგინდა ჩემი ქალბატონის ნახვა, უთხრა
 მკვასხედ მსახურმა.

— საქმე მაქვს, მინდა რამე გადავცე.

— რა გექნება გადასაცემი, მოძე, მე მივცემ. ტყუილია,
 შენ ესლა იმას ვერ ნახავ.

— მაშ, აი, მიეცი ეს სამაჯური მედალიონით, გზასედ
 დაეკარგა და მე ვიპოვნე. ხედავ, უთუოდ მიეცი.

— რაღა თქმა მინდა, შენისთანა მანწანწალებმა უნდა
 დამხარიგონ?

— თუ მიკითხოს, უთხარ, რომ ჩუღურეთში ვდგევარ,
 კოჭლი მიხა დურგლის შვილი ვარ, გესმის!

— მესმის, მესმის, რას ვგირი, ეს ეს არი! დიდი საქმეა,
 თუ ნაზოვნი ნივთი მოგიტანია! გასწი! შენისთანა მოთრე-
 ულების თავი არა მაქვს.

წამოვიდა გიგა შინისაკენ დაფიქრებული. სხვა რიგად
 ვერ მოიქცეოდა. ნაზოვნი ნივთი უსათუოდ უნდა ჰატრო-
 ნისთვის დაებრუნებინა.

— დმერთი ხომ ხედავს!— ამბობდა გიგა, — სხვის სარ-
 ჩოს როგორ დაუისაკუთრებ, რაც უნდა გაჭირებული ვიყო.
 კარგა დაღამდა, როცა გიგა თავის სახლში დაბ-
 რუნდა.

ავადყოფი ისევ ისე კვნესოდა, ემაწვილები მძიერ-
 მწუერვალნი ტიროდენ, სახლში ციოდა და უზატრონობა
 ეტეობოდა. გიგამ საჩქაროდ დაანთო ცეცხლი, მოადუღა

თუნგით წყალი, ჩაყარა შიგ ორჯველ კიდევ ნადუდი ჩაი, ემაწვილებს შეუწვა ცეცხლსედ სათითაოდ კართოფილი, რომელიც უჯრანში იზოვა. ჩანათუნა ჩაით დედა, მიაძინა წვრილ-ფეხობა და ბოლოს თითონაც დაღაღუულ-დაქანცული მიწვა დასაძინებლად.

კარგა გათენებული იყო, გიკამ რომ გაიღვიძა; მასწინვე იმ ახრმა გაურბინა თავში, რომ თუ დღესაც საქმე ვერ ვიძოვე, ერთიანად მძიერი ამოვწყდებითო. მიაღაგ-მოაღაგა სასული და ჩქარობდა ბავშვების სარეცხი დაერეცხა და ისე გასულიყო სამუშაოს სამებნელად.

ამ დროს მოისმა ფეხის ხმა. გიკამ დაინახა დერეფნიდან ზოლიციის ბოქაული; იმას ერთობ ეძინოდა იმათი და შეკრთა. ეგონა რასმე მბრალეებენ და ჩემს დასაჭერად მოვიდაო. ზოლიციის ბოქაულს ფეხ-და-ფეხ მოსდევდა მორთული ქალი. გიკამ შეხედა თუ არა, იცნო, რომ ეს ის ქალია, რომელმაც სამაჯური და მედალიონი დაჭკარგა.

— კოჭლი მისა დურგლის შვილი შენა ხარ? ჭკითხა ქალმა.

— დიად, მე ვინაოვე თქვენი სამაჯური და მედალიონი.

— ჩემი ფეხით მოველ, რომ მადლობა გითხრა. მედალიონში მახვს ჩემი უდროვოდ დაკარგული შვილის სურათი და ის დღე ჩემთვის დღე არ არი, როცა ერთი ათჯერ მაინც არ დავხედავ იმის სურათს. მითხარ, რა მოკცე სა-ზოვნელი, რითი გადაგიხადო მადლობა.

გიკა თავჩაღუნული ნადვლიანად იდგა და ხმას არ იღებდა.

— ზური გეძინა, დედავ, ზური გვაჭამე!

დ მე რ თ ი ხ ე დ ა ვ ს

— გიგავ, შვილო, შენ თავს შემოგველოს შენი დედა, უური უგდე შვილებს, მოისმა კვნესით ლაპარაკი.

თვალ-ცრემლიანმა გივამ გადასედა ქალს.

ქალი მიხვდა ამთ გარემოებას. შევიდა მაშინვე ოთახში, დანაშვიდა დედა და უთხრა, რომ შენი გივა მინდა ავიყვანო მსახურად, რადგან ამ დღით დავითხოვე ჩემი ბიჭი. გუშინ შენმა შვილმა რომ მოიტანა ნაპოვნი სამაჯური შედალიონით და მისცა ჩემ ბიჭს, მე გავიგე მათი ლაპარაკი. ბიჭმა დამიძალა ნაპოვნი ნივთი და წუხელის თითონ გაიტანა გასასყიდათ: მე დროსედ მივასწარ, ნივთი დავიბრუნე და ბიჭი კი დავითხოვე. სანამ კარგად გახდები, შენი შვილი ღამღამეობით შენთან იქნება და ჯამა-გირსაც კარგს მიუცემ.

ამ დღიდან საბედას ბედმა კარგად იმუშავა, არა თუ გივამ თავის გულ-მოდგინე მსახურობით მოიკიდა ფეხი ამ ქალის ოჯახში; დედაც შეიქნა უკეთ თუ არა, ისიც შვილებით დაბინავდა ამ ქალთან სარეცხის დამრეცხელად.





ხ ა ლ ხ უ რ^წ ი

ქვეყანამ ეთერს შვენებით
 თამარი ამჯობინაო:
 მიუვალ ადგილს, კლდის წვერზე
 მას დაუნიშნა ბინაო!
 —
 სანთლად დაუნთო ვარსკვლავი,
 ცა საბნად დაახურაო;

ხ ა ლ ხ უ რ ი

შვიდასი წელი შორიდან
იმედით უთვალყურაო!

აღმოსავლეთით გამოჩნდა
ვარსკვლავი ბეთლემისაო;
ნიშანი ახალ აღთქმისა,
წინა მორბედი ღვთისაო.

მზეს ედრებოდა სიცხოვლით,
სინაზით საესე მთვარესო,
უცნაურ სხივებს აფენდა
ოთხ-კუთხივ ყოველ მხარესო.

მივიდა, ბოყვას*) გაჩერდა,
სადაც ამბობენ თამარსო;
ძველ საყდარს დაქათქათებდა,
სხივებს აფენდა მას გარსო.

წამოდგა მზეთ-უნახავი,
სოქვა: „დიდხანს მძინებიაო!...
სანამდი ვიყავ მღვიძარი,
არავის მშინებიაო.

„მაგრამ ლალატმა ბოლოს დროს
პირ-ბადე დაიფარაო:
მტერი რომადგა მოყვრულად
და ბანგი შემაპარაო.

„დღეიდან მმართვეს ფხიზლობა,
მეყო ამდენი ძილიო!...
სამოურავო ჩემია:
ღვთის მშობლის ხვედრი... წილიო“!

ქვეყანამ ეთერს თამარი
ტყვილად არ ამჯობინაო:
ცაში აქვს სამარადისო,
აქ—საუკუნო ბინაო.

*) სოფელია რაჭაში.

მოულოდნელი მტერი

(ფრანგულიდან გადმოღებული)



ატონი მარტინე ძალიან ხელოვნურად ხატავდა ცხოველებს, მეტადრე კატების დახატვა კარგად იცოდა. სახლში არ გამოიღვედა, ამ ცხოველს, ალტაცებაში მოდიოდა იმათი მოყვანილობით და ყოველთვის ესარჩლებოდა კატებს, როდესაც ლაპარაკს ჩამოაგდებდნენ იმათ ვერაგობაზე და ხშირად ამბობდა: კატები სხვა ცხოველებზედ არ არიან უფრო უგულოები. ისინი სახლში არა თუ ლორს, ძეხვს და სხვა ხორაგვეულს ეტანებიან, უყვართ კიდევ სახლის პატრონი.

მარტინე ძნელად გამოიღვედა სახლში კატებს. ერთი რომ განსვენებაში ყოფილიყო რბილ ბალიშზედ გადაწოლილი, მეორე უსათუოდ ოთახების კუთხეებში დაეძებდა შაქრის ფხენილს და ქადებს, რომლებსაც სახლის პატრონი განგებ უხვად მიჰფანტ-მოჰფანტავდა.

ამ ხანობით მარტინეს ჰყვანდა მხოლოდ ერთი მშვენიერი თეთრი კატა მალალი და რბილი ბალნიანი. ამ კატას ძალიან უყვარდა მარტინე. ფეხ-და-ფეხ დასდევდა, არ შორდებოდა. გავიდოდა მარტინე გაჰყვებოდა, შევიდოდა—შემოჰყვებოდა, დაადგებოდა ხატვას, ისიც იქვე მოიკალათებდა.

აქ თავის ხსენება არ უნდა ყოფილიყო კატის შიშით, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ საცა უხვად შაქარი და ტკბილეულობა

მოულოდნელი მტერი

არის, თავეს სული დასძლევს და არ იქნება რომ გზა არ გაიგნოს იმისკენ.

აემუცლობა სძლიედა მეტადრე ახალგაზდა თავგებს, იმათ აღარ ახსოვდათ დედმამის გაფრთხილება და ხშირად გამოიპარებოდნენ თავიანთ ბელლიდან.

აი, ეხლაც ორმა თამამმა პატარა თავგუნამ დაინახეს, რომ ბატონი მარტინე გამოვიდა სახლიდან.

თავგუნები ძალიან ყურ-აკქვეტილნი არიან.

ამათი მტერი, თეთრი კატუნაც სასეირნოდ ბანზედ ავიდა. იმისი თეთრი ბალანი და მოგრებილი კუდი ბელლიდან აშკარად გამოჩნდა და ორივე თავგუნებმა გასწიეს ბატონის მარტინეს ოთახის დასათვალიერებლად. არ იქნებოდა, რომ არ ეპოვათ ცოტაოდენი შაქრის პურის ნამცეცები, ორიოდ ცვარი რძე და შაქრის ფხენილი.

შემობძანდნენ ფეხაკრეფით ჩვენი თავგუნები, მიიხედ-მოიხედეს; ერთი თავგუნა წავიდა ოთახის კუნჭულებში, ერთმა კი დაიწყო ოთახის დათვალიერება.

ერთბაშად შეკრთდა. ეს რა ამბავია! თვალებმა ხომ არ უმტყუნა! თვისი მტერი თეთრი კატუნა, რომელიც შორს ეგულებოდა, აქვე, ამისახლოს, რალაც მაშინაზედ იჯდა, რომელსაც ოქროს ეარაყიანი ჩარჩო ჰქონდა და დიდრონ მწვანე და რგვალ საშიშ თვალებს აბრიალებდა. ბრჭყალები ისე ეწყო დამზადებული ვეება ყველის ნაჭერზედ, თითქოს ეხლავე მოგვარდებოდა.

შიშმა გააჩერა ჩვენი თავგუნა: ველარ გაინძრა, გული უძგერდა, თვალები დახუჭა, კინალამ გონება დაჰკარგა.

მაგრამ პატარა ხანს უკან, რაკი ბრჭყალები არ ეცენ, ცოტ-ცოტათ გონებაზედ მოვიდა. ჯერ მარცხენა თვალი გააღო, მერე მარჯვენა, მერე ისე გამხნედა, რომ ორივე თვალები შეაჭყიტა კატას.

თავგუნამ დაიწყო თვალების ფშენეტა, არა სჯერა, რომ არა სძინავს. „ეს ხომ ჩემი მტერია, ფიქრობს თავგუნა, რატომ არ მომეარდება. მე რად მეშინოდა აქამდის ამისი! ეხლა კი როგორ პირ-

დაპირ თვალეში ვუყურებ! განა მაგდენი მოთმინება შეუძლიან, რომ ასე ახლოსა ეყვარ და ბრჭყალებში კი არ მიგდებს. უთუოდ კარგად გაიყენთა და ველარ დაძრულა, აქ ხომ საჭმელად ბევრი კარგი რამე აქვს. ისე გასუქებულა, რომ ველარც კი იძვრის. იქნება ესლა პირიქით ჩემი ეშინიან. არცა სძინავს, თორემ თვალეში რად ექნება ღია! მოდი დაფუწყებ ლაპარაკს, აღარც შემეჭამს და იქნება ცოტაოდენი ყველიც მიწილაღოს.



როდესაც მეორე თავი ოთახის კუთხეებში დაცუნსულებდა და თავაუღებლივ ეძებდა ნამცეცებს, ეს ჩვენი თავგუნა ახტა სტოლზედ, უფრო და უფრო მიუახლოვდა კატას და თან თვალს არ აშორებდა თავის მტერმოყვარეს, ეს კი უძრავად დაშტერებოდა; თავგუნამ გადასდგა ფეხი, გაიწია; მერე შესდგა, კატის თვალეში მეტად შიშს აგრძნობინებდენ ამას.

„რა ბოროტად და რამოდენად აჭყეტს თვალეებს, ფიქრობს თავგუნა, ბრჭყალები რა ბასრი და საშინელი აქვს. მაგრამ, ეს წყველი რატომ არ იძვრის!

მოულოდნელი მტერი

თაგეუნამ ველარ მოითმინა, მოიგროვა რაც ძალა და ღონე ჰქონდა და მივარდა ნახატ ყველს. მაგრამ იმავე წამს უკანვე გადმოვარდა იატაკზედ.

ამ ხმაურობაზედ შემოვარდა ნამდვილი კატა. ის კი გახლდათ ბატონ მარტინეს მიერ ასე ცხოველათ დახატული კატა და ყველი, რომელიც ვარაყიან ჩარჩოში ჩაესვა და თავის სამუშაო მაღალ სტოლზედ დაედგა.

მეორე თავვი, რომელიც სხვა სტოლზედ ლოკავდა რაღაც ჭურჭელს, მაშინვე გაიპარა.

მაგრამ ჩვენი თაგეუნა ისე შეშინდა, ისეთ მწარე ფიქრებს მიეცა, რომ კინაღამ კატის ლუკმათ შეიქნა. დაწყევლილმა კატამ სულ კუდით ქვა ასროლინა.


მხატვრის ფერად-ფერად წამლებში გათხუზულმა საბრალო თაგეუნამ ძლივ-ძლივობით ბელლამდის მიახწია.

ან. თ. წ—სა.



გ ა მ დ ე ლ ი

(გუძღენი ლევანსა და ირაკლის)



I

აგვიუძღურდა კამდელი,
 აღარ უძავრობს წელია.
 არა რა ესმის ეურებში,
 სინათლეც გამოელია.
 წინ ჯოხსა მიაწაკუნებს,
 დაჭყვება ინდაურებსა;
 ხან კრილ ჩეროში დაჯდება,
 ნაპტკეპნით იფხანს ეურებსა.
 ხან თავს ჩაჭკიდებს საწელათა,
 ეძლევა მწარე ფიქრებსა;
 ოხვრით იგონებს ძველ დროსა
 და ბატონებსა, დღეს ძვედრებსა.

II

ახსოვს, რომ ქალბატონებთან
 ამხანაგურად რჩებოდა;
 მოსამსახურე მრავალი
 მას წინ ვერ დაუდგებოდა.
 დიდი ბატონი ჰატვიით

გ ა მ დ ე ლ ი

ყოველ დღე მოიკითხავდა,
ხან სასასხლეში იწვევდა,
ხან მის ბინაზე იცნავდა.
ამ რიგად იყო გამდელი
ბატონთან ბატონივითა,
არ აკლდა თბილი საჭმელი,
სტებებოდა ღვინით ცივითა!..

III

მაგრამ დრო გადატრიალდა;
დრომ მოუძალა ბატონი;
სიბერემ დაიძაბუნა,
აღარც სხვა ვინ ჰქვავს ჰატრონი.
ვის ახსოვს ძველი ამბავი?...
სად არის მისი კვავია?...
ძველი ღვაწლი და წვა-დაგვა
დღეს გულ-გრილობამ დალია!...
არ მოკვდა, აღარც ცოცხალს ჰქვავს,
საწვავლი დანავრულია;
ჩამორჩენია სოფელსა
და მით ედაგვის გულია!...
დღე მუდამ ელის სიკუდილსა:
იმასაც დავიწეებია;
და ავრე წვალობს, ჯანსირობს
გამდელი ჩვენი ბეებია!...

19900

წყვიტა

საქართველო
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველო
ბიბლიოთეკა

კატა-დრუტუნას ზღაპრები

(ვაგნერიდან)



ვინ იყო კატა დრუტუნა?

ს იყო ერთი მეტად მოხუცი და დარბაისელი კატა, მაგრამ საუბედუროდ ჯიუტი და მეტად დაუჯერებელი.

ეს იყო მოხუცი და ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას მღეროდა, სულ ძველის ძველსა. მაგრამ რაც ძველია, განა ყველა ხომ კარგი არ უნდა იყოს.

ეს იყო მიზეზი, რომ ის ყველას უკან ჩამორჩა. იმას არ

შეეძლო გამხდარიყო არც მოსწავლედ, არც არხივის (საწიგნეს) ზედამხედველად, თუნდ რომ რომელიმე არხივი საესე ყოფილიყო მსუქან მსუქან ვირთაგვებითა.

ეს იყო მართლაც ღინჯი, დარბაისელი კატა; ყოველთვის მოწიწებისა და კრძალულობის წინააღმდეგი, რადგან ამ გვარ ყოფაქცევას ყიზილბაშობას ეძახდა. იმას უყვარდა მეცნიერება და სძაგდენ მეცნიერნი...

კატა-ღრუტუნას ზღაპრები

უყვარდა ხელოვნება და სძაგდენ ხელოვანნი, ისეთი, რომელნიც მთელს თავის სიცოცხლეში ხელოვნურად მღეროდენ, მაგრამ ბანს კი ვერ ეტყოდით, რადგანაც კილოს ურევდენ. ერთი სიტყვით ეს იყო სხვებში ძალიან განსხვავებული კატა, თუმცა თითონ თავისებურობა ეჯავრებოდა და კიდევ ესაყვედურებოდა თავის თავს. იმას ვერ გაერჩია, სად თავდებოდა თავისებურობა და სად იწყებოდა მაიმუნობა, მიბაძვა, გადაღება. უფრო იმისთვის ჯავრობდა, რომ ყოველი უცხო რამე, თუნდ საზარალოც ყოფილიყო, კაცის თვალს, გონებას, მის ჭკუას უფრო იტაცებდა. ყოველი უცხო რამ ნამეტნავად გვიზიდავს და თვალს გვიხვევს ყოველს საკუთარს საჭიროებაზე, რისაც შესწავლა კაცისათვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო და რაც უშველიდა მას მომავალში.

ამბობდენ, უბედური კატა ცოტათი ჭკუაზედ შემოილილი არისო. იმას ერთი აზრი დასჩემებოდა და მუდამ ერთსა და იმასვე იძახოდა: „მე დაეზადე უკულმა, ესე იგი თავ-დაღმა და ფეხებ-აღმა. ამას შემდეგ ქვეყანაზედ ყველაფერი უკულმა მიჩვენებაო.“ ეს იყო მისი სენი. ამ სენისაგან ვერ გაანთავისუფლეს ვერც ამერიკის და ვერც ევროპის მკურნალებმა.

— მალლა დგანანო ღონიერნი და მშვენიერნი ოქროს კურონი, რომელთა წინაშე ბევრნი იღრეკენ მუხლს, თავს ევლებიან და მათი ყურმოჭრილი ყმები არიან. მე კი ამის მაგიერად მიჩვენება, რომ მალლა ასულან ის პაწია უღონო ჭიალუები, რომელნიც მთელი დღე მიწაში დაჰცოცვენ ლუკმის საშოვნელად. ისინი ასულან ზევით იმიტომ, რომ ოდესმე პირველნი უნდა გაზდენ და ნამდვილად პირველნი უკანასკნელებად გახადონ.

— მალლა დგასო კაცთმოყვარე ძმობა და აძლევს უკანასკნელ პერანგს თავის მახლობელს.— მე კი მგონია, რომ ზევით ასულა თითონ ეს პერანგი, რომელიც მოსავს მხოლოდ თავის პატრონს.

— მალლა დგასო წარმატების ბურჯი გაშლილი ხელით, რომელიც უჩვენებს ხალხს ნამდვილ ვზას... მეკი მიჩვენება, რომ ეს ბურჯი დიდიხნის წაქცეული მიწაზედ გდია, ზედ დასწოლია ხალხი და სია-

მოენებით და გულ-მშვიდად დასძახის: „რაც ნელა ივლი, ისე შორს წახვალო“!

— მალლა დგასო მნათობი ქვეყნისა... მეკი მგონია, თითქოს ისა დგას იმ ტახტქვეშ, რომელზედაც ლხინობს სახიერი და მადლიანი ღმერთა—სისულელე და თვალს უბამს ყველას, ვისაცკი ბედნიერად მიაჩნია თავისი თავი ამ წუთისოფელში.

— მალლა დგასო ჭემარიტება (სიმართლე), თავისუფლება... მეკი მგონია, რომ მალლა ძველებური მკითხავების საცეცხლოური დგას, საიდგანაც მყრალი ბოლი ამოდის და ამ საძაგელ ბოლის გამო ქვევით ჩაბნელებულა ყოველივე და არა გაიჩივარა.

— ახ! როდის მოვესწრები იმ დროს, რომ დაეინახო ხალხი წესიერად ფეხზე იდგეს და თავით არ დაიარებოდეს.

უბედური კატა აღელვებული კუდს იქნევდა, ცდილობდა მოეშორებინა ეს დაჩემებული ფიქრები, მაგრამრომ ველარას გააწყობდა, ფიქრის გადასაყრელად დაიწყებდა თავის ღრუტუნა ხმით სიმღერას და ზღაპარს. იმ ხმაზედ თავს იყრიდენ ბავშვები, კატას გარს შემოსხდომოდენ და ზღაპრებს ყურს უგდებდენ. მათ შორის ჩვენ ბერ კატას უმშვიდდებოდა გული და ეძლეოდა სიამოვნება.

მაგრამ აქაც არ ასვენებდენ, აქაც გამოუჩნდებოდენ ხოლმე სხვა და სხვა შარის მომდებნი, რომელნიც თავისებურად ხსნიდენ ყოველს მის აზრს და ყოველს მის სიტყვას.

— რას გულჩვილობ, ეუბნებოდა ერთი. ეგ არ შეჭშვენის შენ ქალარა ულევას.

— წადი, მომშორდი, დაისქელე კანი და გაისუქე გული; თუ რომ ეგ გინდა, მე აქ რას შემომჭყაე!—უპასუხებდა მას გაჯავრებული კატა.

— შენვე ეწინააღმდეგები შენს თავს, ეუბნებოდა მეორე.

— მარტო ჯოხმა არ იცის წინააღმდეგობა—უპასუხებდა კატა. მე ჯოხი არ მინდა, რომ ვიყო.

— მაშ რათ ამბობ საყმაწვილო ენით ზღაპრებს, რომელნიც საყმაწვილონი არ არიან. განა ისინი მიგიხედებიან შენს აზრს?...

კატა-ღრუტუნას ზღაპრები

მაგრამ კატა მოთმინებიდამ გასული გაჯავრებული წამოიძახებდა.

— თქვენ ვილა ხართ?! განა თქვენკი ბავშვები არა ხართ, რომ შეედაროთ იმ ბავშვებს, რომელთაც ჰქვიან ადამიანები.

— თქვენმა ქებულმა ადამიანობამ გამოიარა ამდენი საუკუნო და აქამდის არ იცის თავისი წლოვანობა.

აქამდის ვერ გადუყრია ის ხოჭიჭი ძონძები, რომელთაც ხელფხვ-შეკრული თვალახვეული დაჰყავხართ...


— თქვენ აქამდის დასდევთ ლამაზ პეპლებს, ციცინათელებს, აქამდის ეტანებით და ტყუედებით იმ სინათლისაგან, რომელიც ჩნდება გუბეზე და ქაობებში.

— თქვენი ადამიანობა ყოველ წამს მზათ არის, იჩხუბოს, ზედ გადევოს და სისხლი ჰღვაროს ერთ მტკაველ გამოუსადეგარ ალაგისათვის. ის იქადის ცოდნას და აქამდის კი ვერ ამოუკითხავს ერთი სიტყვა: „კაცთმოყვარეობა—ეს პირველი მსოფლიო სიტყვა, რომელსაც თვრამეტი საუკუნის წინ ასწავლიდა მაცხოვარი... დამეკარგენით თქვენი მიღებმოდებითა, წადით გაუხდით, შაგირდებათ იმ ბავშვებს, რომელთაც ფარისეველის თვალით უყურებთ. მათ გულში ცხოვრებს ბუნება უმანკო, სწორე და მაღალი. ისინი თქვენზედ უფროსნი არიან მთელი თაობით. უფროსნი არიან ცოდნით, რადგანაც მათ თავში გამოხატული არიან ის გზები, რომლის ტყუილ-ძებნაში დალია სული თქვენმა მამა-პაპამ!...

ვინ იცის, იქნება სულელი კატა არა სტყუოდა და ცოტათი მაინც მართალი იყო; მაგრამ სჯობს, ამისი გარჩევა ისევ ჩვენს შვილებს მიენდოთ.



ერეკლე და სოლომონ მეფე იმერთა



ატონი ჩენი სოლომონ
 ყმებისგან შენაწყენია;
 მას არა სჯერა პაპისა
 ერეკლეს განაჩენია.

არა სურს მასთან კავშირი,
 და ერთად ბრძოლა მტრებთანა;
 ცალკე ირჩია ცხოვრება,
 მტრებზე გალაშქრა ყველგანა.

რა ესე ესმა ერეკლეს,
 სთქვა: „იღბალს დაუწერია:
 ვინც რომ შეიღსავით მიყვარდა,
 დღეს ის შემექნა მტერია!...“

სოლომონს რა დაეუშავე,
 რისთვის გაჯაერდა ჩემზედა,
 მამაშვილობას ვუწვედი,
 დიდგულად იყო მტრებზედა.

სანამ მძლავრობდა მარჯვენა,
 ურიცხვი მყავდა ჯარია;
 მისი მფარველი მე ვიყავე,
 მისთვის მიშლია ფარია!

ახლა ვის რათლა უნდივარ
 მოხუცებული ლომიო?
 მტერიც იკვების: „რას გვიზამს
 სამარის კარზედ მდგომიო?“

ერეკლე და სოლომონ მეფე იმერეთს

თავს მტერი მესხმის ურიცხვი,
ვინ არის ჩემი მომხმარე?!
დღეს ყველა განზედ გამირბის,
ვინც წინად მყავდა მოყვარე.

შვილები ჩემზედ მოდიან,
მტერსა უთელიან: „ჩქარაო!“
სოლომონ გაბუტებული,
შორიდგან მითელის: „არაო!“...

არ მიჰამია სირცხვილი,
სიბერე დამილევია;
აურაცხელი მტერები
მიმუსრავს, დამიძლევია!

მაგრამ ახლა კი სხვა დროა;
არ მყავს საკმაოდ ჯარიო,
არცა მიძლია, წინად რომ
დაერბოდი, როგორც ქარიო!“

ჩვენ ამოგველეთენ, ქვეყანას
დღე დაუდგება მწარია!...
ქალაქში, არცა სოფელში
სახლს არ შერჩება კარია.

ბაღლებს სულ აგვიკუწავენ,
აგვიტირებენ დედებსო,
ვინც ხელს გაუწედის საშველად,
თავზედ დასცემენ კეტებსო!


მაშინდა ნახე, სოლომონ,
ნეტა რა იქმნა უჩემოდ;


თუ წამოვიდენ შენკენაც,
 გასწი და გასწი სულ ქვემოდ!..

აღმოსავლით ბეერი გქონდა
 ჩემი ქვა და ჩემი კირი;
 ისე გცავედა ჩემი ციხე,
 როგორც საკუთარი გმირი!...

ახლა თუ ის ციხე დასწევს,
 და ჯარი მთლად დაიხოცა,
 წყვეა-კრულევას ბეერს მიიღებ
 მათგან, ვინც კი წინად გლოცა!...

წყვეია





ჩვენი ძველი გმირები

XI

ბოღესაც ფარნაოზმა დააყენა ერისთევები სხვა-და-სხვა მხარეს და ყველას სამხედრო და სამოქალაქო წესი მისცა, შემდეგ იწყო თავის ქვეყნის გამაგრება. იმან იცოდა, რომ მისი ქვეყანა თუმცა ბუნებით ძალიან მაგარი მდებარეობისა იყო: ყოველი მთა, კლდე და გორაკები ბუნებითი ციხეებად გამოიკვირებოდნენ; მაგრამ ეს კიდეც არ კმაროდა. ყოველს ხეობაში გორამინდვრები ჩაუყვებოდნენ მდინარეებს და საცა მდინარე მდინარეს შეუერთდებოდა, იქ ხეობის კარი ღია იყო. სამხედრო გზებიც ამ მდინარეების პირად მიემართებოდნენ. მაშასადამე გარეშე მტერს ადვილად შეეძლო ამ ღია ხეობებში შემოსულიყო. ალექსანდრე მაკედონელიც ამ გზებით შემოესია საქართველოს. ის შემოვიდა საქართველოში რასხისა (არაქსისა), მტკვრისა, ალაზნისა და არაგვის ღია ხეობების გზებითა. განსაკუთრებით სპარსეთის ძლიერის სახელმწიფოს საზღვარზე იყო ქვეყანა კარ-დაფელილი, გაუმაგრებელი. იქ მტკვრის პირად თვალ-გადაუწვდენელი ვაკეები რანისა და შირაქისა და მოვაკანისა ხელის-გულსავეთ სწორ მინდვრებად გადაშლილიყვენ. აგრეთვე შავი ზღვის პირად რიონისა და ინგურის ქალები ღია იყო, საიდგანაც რომისა და საბერძნეთის ჯარები ადვილად შემოესეოდნენ საქართველოს. იმ დროს კი ეს ორი დიდი სახელმწიფო სპარსეთისა და საბერძნეთისა ერთმანეთს ექიშებოდნენ: არა მე უნდა ვიუფლო სა-

ქართველოზე და არა მეო. ეს რა წითელი კვერცხი შეიქნა იმათთვის საქართველო, რომ მისი გულისათვის თავებს იმტერევენ?...

თვითონ საქართველოს ქვეყანა ბუნებით ძალიან მდიდარი იყო, „ერი ჰურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა“. ამას გარდა საქართველო იყო ყელი დედა-მიწისა და რომელ სახელმწიფოსაც ის მიუდგებოდა, იგი უსათუოდ გამარჯვებული იქნებოდა ყოველ ბრძოლაში და დაჩაგრავდა თავის მოპირდაპირეს. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძლიერ სახელმწიფოებისათვის ძველის დროიდან მოკიდებული დღემდის. ძველად სპარსელებსა, ბერძნებსა და რომაელებს სულ ამ ჩვენი ქვეყნის გულისათვის ჰქონდათ ერთმანეთში ბრძოლა.

ფარნაოზმა ზედმიწევნით იცოდა, რაც უბედურობა დაემართებოდა საქართველოს ყოველთვის, როცა ეს ორი ძლიერი სახელმწიფო: სპარსეთი და საბერძნეთი ერთმანეთს დაეტაკებოდნენ. „აქლემები წაიკიდნ და კოზაკი შუაში გამოჰყლიტესო“, არის ქართული ანდაზა. რომ ამისთანა ბედი აეცილებინა საქართველოსათვის, ფარნაოზი შეუდგა თავის ქვეყნის გამაგრებას ორ ნაირად: ერთი, რომ უნდა აეშენებინა ციხეები ყოველ ხეობების შემოსასივლელ კარებში და მეორე — შიგ უნდა ჩაესახლებინა მეომარი წოდება, რომელსაც მხნედ უნდა დაეცვა ეს სიმაგრეები. ასეთი სამხედრო წოდება იყო აზნაურთა გვარი. იმათთვის უნდა დაერიგებინა სამკვიდრო მიწა-წყალი. როგორც ვიცით, აზნაურნი შეადგენდნ საუკეთესო მხედრობას: მხნესა და კარგად გაწაფულს ჯარის-კაცებსა. იმათ საშუალებით ფარნაოზმა სძლია მტარვალნი აზო, დაამარცხა ბერძნები და განდევნა ივინი ქვეყნიდან. აი, ამის გულისათვის ეს ჯარი მეფემ ძალიან მოიმაღლიერა. სამხედრო საშოვარი, რაც თვითონ არ სჭირდებოდა, იმათ დაურიგა, გახადა ისინი საქართველოში მაღალ-წოდებათ და დაურიგა მათ მთელი საქართველოს თავისუფალი ადგილ-მამული, რაც რომ საუფლის-წულოდ და სასეფე-წულოდ არ იყო დანიშნული, მიუჩინა მათ სოფლები, მსახურნი გლეხნი და მიწის მუშაკნი. იმან განაწესა ერისთვის სეფეწულები, რომელნიც

ჩვენი ძველი გმირები

იყვენ მეფის გვარის კაცები, იცავდნ მეფეს და წინამძღვრობდნ საერისთავო ჯარს ომის დროს. ყოველს ერისთავს უნდა ჰქონოდა თავის საკუთარი დროშა, ციხე-ქალაქი და გალავანი. ერისთავებს შემდეგ იყვენ ხევის ბერები. თითოეულს ხევის ბერს ებარა რომელიმე ხეობა. იგი უნდა დასახლებულ იყო ხეობის გამოსავალში და იქ აეშენებინა ხევის კარი, ანუ დაბა-ქალაქი, ანუ მაზრის უბანი ციხე-გალავნითა. ხევის ბერებს ჩამოდაღმა იდგენ აზნაურნი. თითო აზნაურს უნდა ჰქონოდა კოშკი გორაზე, ანუ მთის მწვერვალოზე და მის გარშემო სოფელი მუშა-გლეხებით დასახლებული. ყოველი აზნაური თავის სოფლის ბატონი და პატრონი იყო.

ომის დროს იმას გამოჰყავდა სოფლის რჩეული ბიჭები და წინამძღვრობდა; წყობაში ის ემორჩილებოდა ხევის ბერს, ანუ იმის ხელ-ქვეითს ნაცვალს. ხევის ბერი წინამძღვრობდა, რაც ხეობაში სოფლები იყო, იქიდან გამოყვანილს ჯარს. ხევის ბერების თავში იდგა ერისთავი, ხოლო ერისთავების უფროსი იყო თვით მეფე. მშვიდობიანობის დროს ერისთავები, ხევის ბერები, ნაცვლები და აზნაურები განაგებდნ თავის ქვეშევრდომებს. ისინი იყვენ მათი მოსამართლენი, განაბჭობდნ ხალხსა და გაჭირვების დროს კიდევ მფარველობდნ. მაგიერად მიწის მუშა ხალხი მშვიდობიანობის დროს კისრულობდა იმათ რჩენას, აძლევდა მოსავლის მეათედს, ან მეხუთედს და ოჯახშიაც ემსახურებოდა.

ამ სახით წარმოსდგა სამხედრო წოდება, მეფის ერთგული მხედრობა, რომელიც მშვიდობიანობის დროს განაგებდა ქვეყანას და ომიანობის დროს თავ-განწირულად იცავდა თავის სოფლებს და სამკვიდრო მიწა-წყალს.

ფარნაოზი შეუდგა სამეფო ქალაქების შენებას, ციხე-გალავნების შეკეთებას, რომელნიც დაენგრია ალექსანდრე მაკედონელსა. სამეფო ქალაქები იყვენ: მცხეთა, ხუნანის ქალაქი, ანუ არანის დედა-ქალაქი, წუნდის ქალაქი, კასპი, ურბნისი, უფლის-ციხე, რუის-პირი, ქვათათისი, ეგრისი და ფაზის ქალაქი შავის ზღვის პირად მდინარე რიონზე. ყველა ეს ქალაქები შეაკეთა და დააშენა, შიგ დიდი ცი-

ხეები ალაგო, ქალაქებს მალალი ქვითკირის გალანენები შემოაგლო და განამავრა. მეფის წახედვით ერისთევებმაც თავ-თავისი ციხე-ქალაქები ალაგეს, ხევის ბერებმა ხევის კარები ჩადგეს და აზნაურებმა კოშკები გადმოჰიმეს.

ამ გვარად მთელი საქართველოს არე-მარე, მთები და ხეობები და ხეობაში შესასვლელი კარები, ციხე-გალანენებით და კოშკებით მოიჭედა. ამ შეუვალს სიმაგრეებში ჩასხდნენ მხნე და გაწვრთნილი სამხედრო წოდების კაცები:—მთავარნი და აზნაურნი, რომელთაგან ყოველი ცალკე და ყველა ერთობით იცავდნენ უკანასკნელს სისხლის ცვარამდის თავის მიწა-წყალს, სახლ-კარს და ცოლ-შვილს შემოსეულ მტრისაგან. ეს ისეთი დაწყობილება იყო, რომ მთელი ერი შეიარაღებული მუდამ ციხე-გალანენში შეფარებული იყო საბრძოლად და სამკვიდროდ დაშენებული იყო თავის მიწა-წყალზე; იმდენად განებივრებული და გამტკბარი ჰქონდა შინაური ცხოვრება, რომ ამისთანა ცხოვრების გულისთვის ყოველი ერისთავი, ყოველი ხევის ბერი და აზნაური თავის შინა-ყმებთანა და მუშა-ხალხთანა თავგანწირულად იგერებდა, ეტყეებოდა მტერსა.

ყოველი ამისთანა ერისთავი და აზნაური თავის ციხე-კოშკში შედგენდა თითქოს ჰაწია დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ახდენდა შიშინაობის დროს შესაფერს განკარგულებას. ამისთანა გულადს მებატონეებს საერთო მთავარი და მეფე რომ კიდევ წართმეოდათ, თვითონ მაინც თავს არ ჰკარგავდნენ, ცხვრებსავით აქეთ-იქით არ იფანტებოდნენ; არამედ ერთი მეორეს ზურგს აძლევდა და საერთო მოგერებით ქვეყანას იცავდა. აი, ამითი აიხსნება, რომ სხვა ქვეყნებში, როცა მეფე დაეცემოდა ბრძოლის ველზე, ან მეფის გვარი ამოწყდებოდა შემოსეულ მტრისაგან, მისი ჯარი და ხალხი ცხვრებსავით გაიფანტ-გამოიფანტებოდა, უპატრონო ქვეყანა ადვილად უფარდებოდა ხელში შემოსეულ მტერსა. საქართველოში კი ხშირად მომხდარა, რომ მეფეები თავიანთ სახლობიანა მტერს წაუყვანია, მაგრამ ამითი ქვეყნის მოთავეებს:—ერისთევებს და თავად-აზნაურობას გული არ შესუსტებიათ და თავგანწირული ბრძოლა არ შეუჩერებიათ მტრის განსაძევებლად.

ჩვენი მკვლელობები

აი, ამ დაწყობილების წყალობით, მცირე საქართველოს ერმა გაუძლო და გადურჩა აქამომდე ქვეყნის აურაცხელ მტრებსა. მაშინ, როდესაც მრავალი უძლიერესი ხალხი შეიმუხრა ქვეყანაზე. მოისპო ასურეთი, ეგვიპტე, დაეცა რომი, დაეცა საბერძნეთი, ათასმა და ორი ათასმა წელიწადი განვლო ამ მდელვარებაში; მაგრამ საქართველო ისევ ისე დიდ მუხის ხესავით დგას შეურყევლად თავის ნიადაგზე, ჯერ ისევ სკოცხლობს და არც იმედი დაჰკარგვია მომავალისთვის.

XII

ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამ დიდი ცვლილება შემოიტანა აღმოსავლეთის ქვეყნებში. გავრცელდა საბერძნეთის სამხედრო წყობილება, მისი ბრძოლის წესი, საბერძნეთის მეცნიერება, ბერძნული ენა და მწიგნობრობა, გავრცელდა აგრეთვე ბერძნულ ენაზე წერა-კითხვა. საქართველოც არ ასცილებია ამ გავლენას.

უწინ, როგორც ასურეთში, ისე საქართველოში თავისებური ანბანი იყო წერისათვის შემოღებული. ამ ანბანის ნიშნები პაწია ლუსმებს, ან სოლებს ჰგავდა. ეს სოლები რიცხვით და წყობით ერთად დაწერილი გამოხატავენ აზრს. ამიტომაც ამ გვარ მწერლობას ეძახოდნენ სოლისებურ მწერლობას. საქართველოში რომ ფარნაოზზე უფრო ძველად იყო შემოღებული ამ გვარი ანბანები, ამას ცხადად ამტკიცებს ვანის ქალაქის მახლობლად ნახული ქვებზე აღბეჭდილი სოლისებური ნაწერები, რომელსაც მეცნიერები ეძახიან ალაროდის ენის ნაწერებს. როცა ეს ნაწერები გააჩიეს და აღმოიკითხეს, გამოდგა, რომ ამ ნაწერებს ქართული ენის კილო, თვისება და გრამატიკული ფორმები აქვს. აქედან ცხადად მტკიცდება, რომ საქართველოში ასურეთლებისა და ეგვიპტელების დროს სკოდნით წერა-კითხვა, ყოფილა მწიგნობრობა და მეცნიერება გავრცელებული. გარდა სოლისებური ანბანისა საქართველოში ყოფილა

მხატვრობითი ქარაგმული ნიშნებიც შემოდებული.*) ასეთი ქარაგმული ნიშნებით წერა განსაკუთრებით სკოდნიათ ეგვიპტელებს და იმათ გავლენას ქვეშ შემოუღლიათ ქართველებს მათებური წერა; ამ გვარ მხატვრობითი ნაწერებს ეძახიან გიეროგლიფის მწერლობას.

საბერძნეთის გავლენამ ამ ორსავე გვარს მწერლობას ბოლო მოუღო, რადგან ბერძნული წერა-კითხვა უფრო ადვილი გამოდგა სახმარებლად და ამ წერა-კითხვის შემწეობით უფრო ზედ მიწევნით და მოკლედ იწერებოდა ყოველი აზრი. რადგან იმ დროს მხედრობის წესი ძალიან განვითარებული იყო, ამისათვის მისი შესაფერი საწერი ნიშნებიც უნდა შემოეღოთ. ამ წერის ნიშნები, ანუ ასოები, უნდა ყოფილიყვნენ ადვილი, ჩქარი დასაწერი და აზრის მოკლედ გამოსათქმელი.

ფარნაოზმა შემოიღო საქართველოში საბერძნეთის სამხედრო წესი; მაშასადამე იმან ისიც საჭიროდ დაინახა, რომ სოლისებური წერა-კითხვა და მძიმედ დასაწერი მხატვრობითი ნიშნები გადასხვაფერებულიყვნენ ისე, რომ ყოველს მხედარს ადვილად, ჩქარად და მოკლედ შესძლებოდა ტყავზე თავისი აზრის დაწერა და გადაცემა. ამას მოითხოვდა თვით მხედრობის წესი, საცა ყოველივე განკარგულება სამხედრო რაზმებში სწრაფად უნდა გადაცემულიყო ერთი მეორედგან, რომ დაგვიანებით საქმე არ წამხდარიყო, მტერს არ ეჯობნა.

ამის გამო ფარნაოზმა შეკრიბა მწიგნობართ-უხუცესი მოგვები მცხეთას და უბძანა, რომ იმათ სოლისებური და მხატვრობითი ასოების მაგიერად ადვილი საწერი ნიშნები შემოეღოთ მგზავსად ბერძნულის წერისა. მწიგნობართ-უხუცესნი მოგვნი შეუდგენ ამ მძიმე საქმეს. მოიღეს სოლისებური ნაწერები, მხატვრობითი, ანუ ქართული გიეროგლიფური წერილები, ქანანეველი ნაწერები ტირისა და სიდონისა, ბერძნული ასოები და იმათ გვემაზე შეადგინეს ახალი ქართული მხედრული ასოები, რომელსაც დაერქვა მხედრული

*) იხილე მოსე ხორენაცის ისტორიაში დამატება მეოთხე—ემინისა. გვერდი 377.

ჩვენი მკვლე გმირები


ანბანი. ამის შესადგენად მოგვებს დედნად უფრო მხატვრობითი წერის ნიშნები გამოადგათ, ვიდრე სოლისებური.

მხატვრობითი წერა ისეთი რამ იყო, რომ რაიმე აზრის გამო-სათქმელად ისეთ ნიშნებს ხატავდენ, რომელნიც ემსგავსებოდა სუ-ლიერს, ან უსულო საგნებს. მაგალითად კაცს, ხეს, წყალს, ცხო-ველს, ქვას, მიწას და სხვ. მაგრამ წერაში ასეთი ნიშნების ხმარება მეტად მძიმე იყო და მწერალიც დიდხანს უნდებოდა იმათ გამოხა-ტვას. ამას გარდა აზრი ამ გვარი წერით სრულად ვერ გამოითქმო-და. ბევრ შემთხვევაში მკითხველი თვითონ უნდა მიმხედარიყო და-ნარჩენს აზრს, რაც რომ მხატვრობით ვერ დაწერილიყო. ყველას ის ემჯობინებოდა, რომ ყოველის ხმისათვის თავის შესაფერი ნიშა-ნი, ანუ ასო მოეგონებინათ. რადგან ყოველი ლექსი, ანუ სიტყვა შესდგება რამდენისამე ხმისაგან, ამისათვის თუ ყოველს ცალკე ხმას თავის შესაფერი ასო ანუ წერის ნიშანი ექნებოდა მოგონილი, მა-შინ ყოველი აზრიც ზედ-მიწევნით დაიწერებოდა. აი, მწიგნობარს მოგვებს ჰქონდათ მხედველობაში ესა და იმიტომაც საფუძვლიანად აასრულეს მეფის მინდობილობა. იმათ შეთხზეს ქართული მხედრუ-ლი ანბანი უწინდელი მხატვრობითი წერის მიხედვით. ამიტომაც მგონია, რომ ქართული მხედრული ანბანი ხუცურზე ადრე უნდა იყოს შემოღებული. ამას ამტკიცებს ბევრი მხედრული ანბანის ასო, რომელსაც საგნის გამომხატველი მხატვრობითი მოყვანილობა დღე-მდის შერჩენია, მაშინ, როდესაც ხუცურს ასოებს ეს თვისება არა აქვთ. მაგალითად ასო **ა** წარმოადგენს გაღებულს პირს. ასო **ბ** წარ-მოადგენს კაცის გვამს, ანუ მუცელს, რომელსაც კაცის თავი უზის ზემოდან; ასო **დ** წარმოადგენს მდინარეს, რომელიც ერთვის ტბაში ანუ ზღვაში. ასო **კ** წარმოადგენს დამუწულს კაცის პირს, ასო **ლ** წარმოადგენს ლომს თავის დაკრაკნილ კუდით, ასო **წ** წარმოადგენს კაცის ჩამოშვებულს წვერს და სხვ.

მწიგნობართ-უხუცესმა მოგვებმა წარუდგინეს მეფეს ახალი შე-თხზული მხედრული ანბანი. ფარნაოზს ფრიად მოეწონა და მეფუ-რად დაასაჩუქრა ისინი; იმან ვასცა ბრძანება ამიერიდგან სამთავრო

და საერისთო სასწავლებლებში ახალგაზდობა აღეზარდათ ამ ანბან-ზე, ესწავლებინათ ახალი ასოებით წერა-კითხვა სეფე-წულებისათვის; აგრეთვე ბრძანა ყოველი მეცნიერება დაწერილიყო მხედრული ასოებით და ამით დააგვირგენა თავისი მეფობა. ამიერიდგან მწიგნობრობა კიდევ უფრო გაერცელდა საქართველოში.

გ. წერეთელი.



ტყის მეფე

ტყის მეფე

(გემან-ულიან)

შინ მოდის ღამით ქარ-ბუქში
ეს ასე გვიან ცხენითა?
მამა პატარა შვილით,
ტყე და ტყე მოდის სტვენითა.*)
შინ მოაშურებს, ყმაწვილი
გულზედ ჰყავს მიხუტებული;
ხელში უჭირავს მაგრადა
მას შვილი ჩათბუნებული.

— შვილო, რად მალავ სახესა,
ეგრე მოშიშრად ქუდითა?

— მამავ ვერ ხედავ ტყის მეფეს
გვირგვინითა და კუდითა?!

— ეგ ჩრდილი არის ღამისა,
შენ კი ვილაცა გგონია.

უბრალოდ შიშობ, ტყის მეფე
აბა, ვის გაუგონია?!

„ბალო, ჩამოხტი, აქ მოდი,
მსურს თამაშობა შენთანა:

დაგიკრეფ მინდვრის ყვავილებს,
წაგიყვან დედა-ჩემთანა:

დედას აქვს ჭრელი ხალათი,
ჩაგაცმევს, ჩაგეთბუნება...

— მამავ, არ გესმის ტყის მეფე
ჩუმად რას მებუტბუტება?“

*) ღამით მოგზაური თავს ან სიმღერით იქცევს, ან სტვენითა.

— ნუ შიშობ, შვილო, ქარია,
 ქარი ზუზუნებს, გრიალებს,
 გამხმარ ტყის ფოთლებს უბერავს
 და ფოთოლიცა შრიალებს...

„მოხვალ თუ არა? თვალები
 ტყვილად ნუ გიშტერდებიან,
 მე მგონი, ჩემი ქალები
 შენ კიდევ გელოდებიან.

დაბმენ ღამის ფერხულსა
 გალხენენ, გაკაცინებენ,
 გიმღერენ, გათამაშებენ
 და ნანით დაგაძინებენ“.

— მამავ, ვერ ხედავ ბნელ ალაგს
 აიქ, ტყის მეფის ქალებსა?

— შვილო, მაღალი ნერგები
 ვიტყუილებენ თვალებსა.

„მე შენ მიყვარხარ, პატარავ,
 და თუ არ გამყე ნებიოთა,
 ძალას ვინმარებ, წაგიყვან
 ჩემთან ძალდატანებიოთა“.

— მამავ, მიტაცებს ტყის მეფე,
 რალაც მატკინა ხელიოთა....
 შეშინებულმა მამამაც
 გამოაშურა ცხენითა.

მოჰქრის შინისკენ, მგმინავი
 შვილით, ის გამალებული,
 მოვიდა, მაგრამ პატარა
 ხელს შერჩა მიცვალებული.

ვეფხისტყაოსანი

ნაამბობი მოზრდილი ყმაწვილებისთვის *)

ქაჯთაგან ნესტან-დაჭეჯნის შეწერობის ამბავი




ატმანმა ასე დაიწყო: „რომ გავაპარე, გაუშვი, აღარ მქონდა მოსვენებაო. დღე და ღამე ვიგონებდი, ნაღვლიანი ვიჯექ შინა. მოლაღატე ჩემი ქმარი ჭირივით მეზიზღებოდა. მისი ველარა გავიგე, გულს ცეცხლი მეკიდებოდა“.

„ერთს საღამოს, მზის ჩასვლის ღრუს, სევდიანი გამოვედი. საღარაჯო გავიარე, მგზავრთა სადგურს გადადექი. დავინახე ოთხი მგზავრი, მონურად იყვენ ჩაცმული. მოვიდენ, სუფრას მოუსხდენ, ამოიღეს სანოვაგე, მე მათ თვალ-ყურს ვადევნებდი და ლაპარაკიც მესმოდა. ერთმა სთქვა: „ძმებო, ეგ რას გავს, ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთსო. საჭიროა, ყველაშა სთქვას, ვინ არის და ან რა იცისო.“ სამმა მგზავრმა სათითაოდ სთქვეს, ვინც იყვენ, რაც იცოდენ. მეოთხემ სთქვა: „მე რაც ვიცი, ყოველ ამბავთა სჯობიაო. მე ვარო მონა ხელმწიფის, ქაჯეთის პატრონისაო. მეფე გეყავდა დიად კარგი, ქერიე-ობოლთა მწყალობელიო. მაგრამ მოგვიკვდა, აღარ გეყავს, ახლა მეფო²ს მისი დაიო. დულარდუხტ ჰქვიან სახელად, მხნე არის და მამაციო. იგი ზრდის ძმისა ობლებსა როსანსა და როდიასო.“

„როშაქ ჰყავს იმას უფროსად ბევრი ათასი ყმისაო. ერთხელ გვითხრა, წავალ, წამომყევით, ვიმეკობროთ, ავიესეთო. ასი მონა დარჩეული ვიახლენით, წაგვიყვანა. ვიმეკობრეთ, არ გაუშვით ქარავნები, სადაც ენახეთ. ბევრით-ბევრი საქონელი წაეართვით და წამო-

*) იხილეთ „ჯეჯილი“-ს მე-IV №-რი 1892 წლისა.

ვიღეთ. მინდორ-მინდორ მივდიოდით, ღამე იყო მეტად ბნელი. შუა მინდორში გამოგვიჩნდა მნათობი რაღაც ძლიერი. ზოგმა სთქვა ცისკარია, ზოგი ამბობდა მთვარეო. შორს მოუჩრეთ, მივედით და შე-



მოვადექით გარეო. ენახეთ ვიღაც ცხენოსანი ქალი გზათ მოდიოდა. მისი ციმციმი მზესავით ქვეყანას ეფინებოდა. რომაქ შეატყო ქალობა და გვერდს წაუდგა ცხენითა. არ გაეუშვით, შევიპყართ, წამო-

ვეფხისტყაოსანი

ყვანა დავაპირეთ. როშაქ ჰკითხა: „ქალო, ვინ ჰხარ, ვის ეკუთვნი, ან სად მიხვალო?“ ქალმა ხმა არ ამოიღო, ტიროდა და ცხელ ცრემლს ღვრიდა. როშაქ ბრძანა, მეფეს მიეგვრი, დამიმადლებს, კარგად ვიცო. დაბრუნდენ, ქაჯეთს წავიდენ როშაქი და მისი მხლებნი. მე კი ვსთხოვე, გამომიშვა ბულანშაროს ქალაქშიო.“

„მე რომ ევ გავიგონე, მიამა და გამეხარდა. მაშინვე მივხვდი, ვინც იყო ის ცხენოსანი ქალი. ამოვიხმე მე ის მგზავრი, დაწვრილებით გამოეკითხე. დაუმაღლე, ფულიც მივე, ავდექი და გავისტუმრე. მე მყავს ორი შავი მონა, საესე ყოველი გრძნებითა; უჩინრად შევლენ, სადაც ჰსურთ, თავიანთ თვალთმაქცობითა. ორივე ქაჯეთს ვაფრინე, ვუბრძანე ამბის გაგება. მსწრაფლ დაბრუნდენ ქაჯეთიდგან, ყველაფერი მომახსენეს. მიუყვანიათ ქაჯეთში ნაპოვნი მზის-უნახავიო. დულარდუხტს დედოფალს უთქვამს, როსანს შეერთამო ცოლა-დო. მანამდის ჩაუსვამთ, გამდელი უახლებიათ. თვითონ წასულა საომრად, მოყმენიც წაუყვანია.“

„ქაჯთა ქალაქი,“ განაგრძო, — „მტერთაგან შეუეალია. ქალაქის შიგნით კლდე არის უზარმაზარი, მაღალი. იმ კლდეში გვირაბი ადის, ასაძრომელი ხერგლია. მუნ ჰყავთო, მითხრეს, ის ქალი, ციხეში დამწყვდეულია. გვირაბის კარზე ნიადაგ მცველები მოუშლელია. ათი ათასი ვაჟ-კაცი თვითონ ქალაქის მცველიაო.“

ავთანდილი რომ ამ საკვირველ ამბავს ისმენდა, გულში უხაროდა და ღმერთს მაღლობას სწირავდა. ფატმანს უთხრა: „საყვარელო! გმაღლობ ღიდათ ამ ამბისთვისო.“ მერმე ჰკითხა:

„ქაჯი ხომ უხორცოა, რამ გახდათ ხორციელიო? ან რათ უნდათ მათ ის ტურფა, რას აქნევენ, რისთვის ჰყავთო?“

ფატმანმა მოახსენა, არ არიან მართლა ქაჯნიო. ქაჯებად მისთვის უწოდენ, რომ სალ კლდეზე სცხოვრობენო. თან არიან საესე გრძნებით, ყოველთა მტერთა მძლეველიო. მტრებსა თვალებს დაუბრძობენ, როცა უნდათ, ქარს ასტეხენო. ზღვაზე გავლენ, როგორც ხმელად და მტრის ნაევებს დაამხობენო.

გამხიარულდა აეთანდლო და ფატმანსა უაღერსა, წამოვიდა. მრავალ გვარი საჩუქარი ქალმა უძღვნა, გაატანა.

ათანდოლი რომ ბინაზედ მოვიდა, გადასწყურტა თავის გამოჩენა. ადგა, ვაჭრული სამოსელი გაიხადა და თავის კოხტა ტანისამოსი ჩაიცვა. ისრე მოუხდა და დამშვენდა, თითქო სულ გამოიცივლაო. სადილათ ფატმანთან წავიდა. ფატმანმა რომ ნახა, გაიკვირვა, შემოსცინა და მოეწონა. ნასადილევს ვაჭი შინ წამოვიდა. ნასვამი იყო, დაწვა და ცოტა დაიძინა. საღამოს ფატმანს შეუთვალა, მოდი მნახე, მარტო ვარო. ქალი მივიდა. აეთანდოლმა ბალიში მიართვა და გვერდს დაისვა. მერმე გაუტყდა და ყველაფერი ნამდვილი უთხრა: ვინ იყო, ან სადაური, ვის ეტრფოდა და რისთვის დასტოვა სამშობლო. უამბო აგრეთვე დაწვრილებით ტარიელის ამბავიც, აღუწერა მისი მშვენიერება, გმირობა და ტანჯვა მიჯნურის დაკარგვისა გამო.... „შენა ხარო,“ უთხრა, „მისი წყლულის წამალიო. მოდი და ქაჯეთს გავგზანოთ შენი გრძნეული მონებო; ვაცნობოთ ნესტან-დარეჯანს ყოველი ჩვენი ამბავიო. იგიცა მოგვეწერს ყველაფერს და ეინძლო რამე უშველოთო.“

ფატმანმა აღუსრულა სიხარულით მას სურვილი. მოიხმო მონა გრძნეული და უბრძანა ქაჯეთს წასვლა. ყველაფერი დაწვრილებით ნესტან-დარეჯანს მისწერა. შეუთვალა: შენც მოგვეწერე, რაც-კი იცი მადაურიო. ნიშანი რამ შენთვის ტანჯულსა გაუგზანეო.“

მონამ წაისვა ტანზედა რაღაც წამალი მოლისა. იმავე წამსა მიიმალა და გასწია, ვით ისარი. ბინდამდის ქაჯეთს მივიდა, გაიარა ციხის კარი, ვერ დაინახეს მცველებმა, რადგან იყო უჩინარი. ნესტან-დარეჯანის წინაშე გაჩნდა, როგორც მოჩვენება. მზის-უნახავი შეშინდა, ეგონა, რომ იყო მავნე. მონამ უთხრა, ნუ იშიშვი, ფატმანისა კაცი ვარო. ამოიღო და მიართვა გაგზანილი მისგან წიგნი.

საბრალო ნესტან-დარეჯანს სიხარულისაგან ცრემლები მოერია. საჩქაროდ წერილი გადიკითხა და ღმერთს მადლობა შესწირა. მონას აეთანდოლის ამბავი გამოჰკითხა. მონამ უამბო აეთანდოლის ფატმანთან სტუმრობა და აღუწერა მისი მშვენიერება.

ნესტანდარეჯანმა ორი წიგნი დასწერა. ერთი ფატმანს მისწერა და მეორე ტარიელს. მისცა ორივე ფატმანის მონას, დაუმაღლა და გამოისტუმრა. ფატმანს სწერდა: „დედისა მჯობო, დედაო! შენმა წიგნმა გამახარა, მამო და ამატირაო. მე ქაჯთ ვყევარ შეპყრობილიო. ქაჯთა მეფე წასულია საომრად და არ მოსულაო. ციხეში ვარ დამწყვდეული, დღე და ღამე ჯარი მიცავსო. ჩემი დახსნა არ იქნება, ტყუილად შევლას ნუ ვინ ფიქრობსო. გვხვეწები, ტარიელსა შეუთვალე, ნუ წამოვაო. ვერ მიშველის, თავსაც ავენებს და მე უფრო გამამწარებსო. ის თუ მოკლეს, მეც მოგვედები, ორნაირად დავიწვებიო. გებრძანა ნიშნისა ხლება, ვასრულებ შენსა ბრძანებასო: უგზავნი ჩემს მიჯნურსა ჩემი რიღისა ნაკვეცსო.

ვაჟს რომ წერილი მისწერა, ქვასაც კი აატირებდა. ქალი სწერდა: „კალმად მაქვს ტანი, მელნად ნაღველი და ქალაღდად მკვდარი გულიო. ხედავ, ჩემო, ვით გაგეყარა სოფელმა და ჟამმა კრულმაო: ველარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმაო. რა ჰქმნას ნეტარ უშენომან გულმან შენგან დალახერულმანო. უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე რა დიდი ძნელიაო. შენმან მზემან, აქამდის შენ ცოცხალი არ მეგონეო. აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონეო. შენი სიცოცხლეს მეყოფა ამ დაჩაგრული გულის იმედათო. მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგულიო. სხვა, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერებაო. ენა დაშვრება, მოსმენით არვისგან დაიჯერებაო. ბედმა არ მაკმარა, რაც მომივიდა და ჭირი ჭირსა მიმიმატა. კელავაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართაო. ისეთ მაღალ ციხეში ვზი, თვალნი ძლივს გარდაწედებიანო. გზა გვირახიდა შემოდის და მცველები ზედ დგანანო. მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, ცეცხლივით მოედებიანო. ამათ ძლევასა ნუ ფიქრობ, უთუოდ მოგერევიანო. მკვდარი რომ გნახო, დავიწვი, როგორც აბედი კვესითაო. სჯობია, დამთმე გულითა კლდისაცა უმაგრესითაო. ნუ ნაღვლობ და ნურცა ფიქრობ, რომ ცოცხალი სხვას დავნებდეო. ან კლდეზე გადავარდები, ან თავს მოვიკლავ დანითო. შენმან მზემან, შენს მეტს ქვეყნად, არვის ერგოს მთვარე შენიო.

თუ ამ ქვეყნად ვეღარ გნახე, საიქიოს შეგვეყრებიო. თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი მქონდეს ტკბილიო. მე სიკვდილი აღარ მიმიძიხს, შემოგვედრებ რადგან სულსაო. შენს სიყვარულს თან ჩავიტან და ისე ჩავალ საფლავშიო. შენ ნუ მგლოვობ, შინ დაბრუნდი, ანუგეშე ჩემი მამაო. გიგზავნიო“, ბოლოს სწერდა, „შენეულ რიდის ნაკვეცსაო.“

ფატმანის მონა დაბრუნდა, წერილები მოუტანა. აეთანდილმა გაიხარა და ღმერთს მადლობა შესწირა. ფატმანს უთხრა, შენი ვალი ჩვენგანით გადუხდელიაო. წასასვლელად მოემზადა ტარიელთან მახარობლად. ფრიდონის ყმები მოიხმო, მადლობა გამოუცხადა. დასაჩუქრა ოთხივე და ფრიდონთან გაისტუმრა. წიგნი მისწერა ძმობილსა, დარეჯანის პოენა ახარა. „მომიტყვეო“, მისწერა, „ვერ გიხანელ, ვერა გნახეო. ტარიელთან მივიჩქარი, მინდა მალე გავახარო. ორივენი ერთად მოვალთ, მოგველოდე, გესტუმრებითო. მაშინ გვიშველე, წაგყევი, ქაჯთა ზედა გავილაშქროთო.“

თვითონაც აეთანდილმა მომავალი გემი ნახა, ჩაჯდა და გასწია ტარიელთან. ფატმან ცრემლით გამოეთხოვა და გააცილა ვაჟი.

წასვლა აეთანდილისა და ტარიელის შეყრა.

აეთანდილი წამოვიდა, ზღვით სიარულს მორჩა და ხმელეთად გამოვიდა. მარტო მოდიოდა და უხაროდა ტარიელის შეყრა და გახარება. მშვენიერი გაზაფხული იდგა და მთელი ბუნება ყვაოდა. მხიარული ვაჟი სიმღერით მიდიოდა და ტაიქს (ცხენს) მიაქროლებდა. შორიდან რომ ქვაბი დაინახა, იამა და გულმა ფანცქალი დაუწყო. მოახლოვდა ტარიელის შეყრის დროცა. მაგრამ ამდროს თავში აზრმა გაუელვა, ვაი თუ შინ არ იყოსო. ამჯობინა გზაზე ძებნა და დათვლიერება. მინდვრად გავიდა, ცხენს მიაჯორებდა და ტარიელს უკიოდა. ტარიელი, მართლაც, იმ დროს შამშის პირს იდგა, ხელში ხმალი ეჭყრა და სისხლს აცლიდა. მას, თურმე, ლომი მოე-

ვეფხისტყაოსანი

კლა და ხმალი გასისხლიანებოდა. აეთანდილის ხმა რომ ესმა, უცბად, გაიხედა, იცნო და მისკენ გაექანა. ორივენი შეიყარენ, მოეხვიენ ერთმანეთს და აკოცეს. ტარიელი ტირილით ეუბნებოდა: „რაკი შენ გნახე ცოცხალმა, ჭირი ჭირად აღარ მიჩანსო.“

ათანდილი კი მხიარული იცინოდა და ღიმილით ეუბნებოდა: „ნულარ ნაღვლობ, ნურცა სტირი, მოგინახე დაკარგულიო.“ ტარიელს ასე ეგონა, ხუმრობსო და არ სჯეროდა. მაშინ ვაჟმა ამოიღო რიდის ნაკვეცი, წერილიცა და ორივე ძმობილს მისცა. ტარიელმა ტუჩს მიიკრა, აკოცა და ცრემლი ღვარა. მაგრამ მეტის სიხარულით ელდა ეცა, ძირს დაეცა. აეთანდილსაც შეეშინდა, გაიქცა წყალი ეძება, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა. ამ დროს ლომი წაქცეული, სისხლიანი დაინახა. პეშვით სისხლი მოიტანა და მომაკვდავს დააპყურა. მაშინ შეკრთა ტარიელი და თვალები გაახილა. ცხელმა სისხლმა მოაბრუნა, გონს მოვიდა და წამოჯდა. თვის მიჯნურის წერილს აკოცა, გადაიკითხა. იგონებდა საყვარელსა ქაჯთა ხელში და ცრემლს ღვრიდა. აეთანდილი გვერდით უჯდა, ნუგეშს სცემდა და ეტყოდა: „ნუ სტირი, ძმაო ტარიელ, სჯობს წავიდეთ, უშველოთო.“

ამას შემდეგ ტარიელმა თავის ძმობილს გამოკითხა სად იარა, სად ეძია და ამბავი როგორა სცნა. მერე უთხრა, მაგიერი ღმერთმა გიზღოს ზეციერმაო. ბოლოს ორივე ცხენებით ქვაბისაკენ გაემართენ. ქვაბის კარებს მიახლოვდნენ, ხუმრობდნენ და იმღერდნენ. ასმათს ძრიელ გაუყვირდა, სიხარულით გამოიჭრა. „ჰე, ასმათო.“ დაუძახეს, „დაკარგული მთვარე ვნახეთო“. აეთანდილი ცხენიდან ჩამოხტა და მოეხვია. ასმათიც ვაჟსა ჰკოცნიდა და ცრემლით ეუბნებოდა: „მითხარ, რა სცანი, გეთაყვა, ჩემი გაზრდილი ქალისაო?“ ვაჟმა, პასუხის მაგიერად, მისი წერილი აჩვენა. ქალმა იცნო მისი ხელი, ათრთოლდა და იძახოდა: „ამას რას ვხედავ! რას მოვესწარი!—კიდევ ცოცხალი ყოფილაო!“ მერმე მივარდა ტარიელს, მოეხვია და აკოცა. ორივე ღმერთსა მადლობდნენ, სიხარულის ცრემლსა ღვრიდნენ. ბოლოს სამივენი ქვაბში შევიდნენ. ასმათი სიხარულით ვაჟებს თავსა ევლებოდა და უმასპინძლდებოდა.


პური სჭამეს, დაისვენეს, და ტკბილად ისაუბრეს. ტარიელსა გაახსენდა და ავთანდილს მოახსენა; „როცა დევები დაეხოცე და ეს ქვაბი დაეირჩინეო, საჭურჭლე დარჩათ მრავალი, ჯერედ ხელი არ მიხლიაო. მოდი ენახოთ, რა ჰქონიათ, რა საუნჯე, რა სიმდიდრეო.“ ადგენ და ქვაბს მიადგენ, ორმოცი კარი დაღეწეს. თვალ-მარგალიტი იპოვეს ბატის კვერცხისა ოდენი, ოქრო-და ვერცხლიც იმდენი, ანგარიში არა ჰქონდა. ერთიც ზარდახანა ნახეს, საესე იყო იარაღით. იქვე იდგა კილობანი, ამ ნაირი ზედ წარწერით: „აქა ძევს აბჯარი საკვირველიო, ჯაჭვ-მუზარაღი, აბჯარი, ხმალი ბასრისა მჭრელიო; თუ ქაჯნი დევთა შეებენ, იყოს დღე იგი ძნელიო, უიმის ქამისოდ ვინც გახსნის, არის მეფეთა მკვლელიო.“

ტარიელმა და ავთანდილმა კილობანი გახსნეს და შიგ სამი ხელი აბჯარი იპოვეს: ხმლები, მუზარადები და საბარკულები ზურმუხტის ბუდეში. გავხარდათ, აიღეს და თითო ხელი მათ ჩაიცივეს. ერთი ხელიც ფრიდონისთვის შეჰკრეს ღვედით, წამოიღეს. ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი, რაც უნდოდათ, გამოაზიდეს. მერმე საჭურჭლე ყველანი ხელახლად მაგრა დაბეჭდეს. ამას შემთევ მოემზადენ ქაჯეთში წასასვლელად. მაგრამ ენახოთ ფრიდონიო, ითათბირეს, გადასწყვიტეს.

ტარიელისა და ავთანდილის წასვლა ფრიდონისას.

რომ გათენდა, გაემგზავრენ და ასმათიც წაიყვანეს. იარეს და მიახლოდენ ფრიდონ მეფისა სასახლეს. იქ მახლობლად მისი ჯოგი ნახეს, ძრიელ მოეწონათ. ტარიელმა სთქვა: „ავთანდილ! მოდი ფრიდონს გავეხუმროთო. მის ცხენის ჯოგს თავს დავეცეთ, როგორც მტერნი, და წაეასხათო. რომ შეიტყობს, უსათუოდ, თვით წამოევა საომრად. როცა მოვა, ჩვენ გვიცნობს და ანახდათ გაიკვირებსო.“ ეს ოინი ავთანდილსაც მოეწონა, დაუჯერა. ადგენ და ჯოგს შემოადგენ, დაიწყეს ცხენთა დაჭერა. მეჯოგეებმა კიჟინი დართეს, ვინ ხართ, რას შერებითო? მათაც მშვილდები მომართეს, მეჯო-

გეთა გაეკიდენ. მეჯოგეები ყვიროდენ, არიქა მოგვეშველენით, მეკობრებმა ამოგვწყვიტესო. რომ გაიგო ეს ამბავი, მეფე ძრიელ გაგულისდა, იმ წამსვე თავის რაზმით საშველებლად გამოიჭრა. აეთანდილდა ტარიელი ფრიდონს წინა შეეჩხენ. მუზარადი მოიხადეს და სიცილით ასრე უთხრეს: „რად გეწყინათ ჩვენი მოსვლა? ან საომრად რისთვის მოხვალთო“?



გაკვირებული ფრიდონი მსწრაფლ ცხენიდან ჩამოხტა. თაყვანი სცა ძვირფასს სტუმრებს და ორივეს მოეხვია. მოიკითხეს

ერთმანერთი და მრავალი ილაღობეს. იმხიარულეს, მერმე ფრიდონმა სტუმრები სასახლეში მიიწვია. დიდი ღვინი გადიხადა და მიაართვა საჩუქრები. ტარიელმაც ფრიდონს უძღვნა საკვირველი ის აბჯარი. მეორეს დღეს მოემზადენ ქაჯეთში წასასვლელად. ფრიდონმა სთქვა, მომისმინეთ, მე ქაჯეთსა კარგად ვიცნობო. გარშემო სულ კლდე არტყია, ცხადად შებმა არ გვარგიაო. არც გვინდა დიდი ლაშქარი, რომ ვიახლოთ საომრადო. ჩვენ წავიდეთ და თან სამასი დარჩეული ცხენოსანი ვიახლოთო. ორივე გმირები დათანხმდენ ამ რჩევაზე. თავის ღობილი ასმათი ტარიელმა იქ დასტოვა. შეიარაღდენ გმირები, ახსენეს ღმერთი, წავიდენ. ფრიდონ იყო გზისა მცოდნე, დღე და ღამე მიდიოდენ. ზღვას გასცილდენ, გაიარეს და ქაჯეთსა მიახლოვდენ, რომ არ ეცნათ მათი მისელა. მიუახლოვდენ ქალაქსა, ჩუმად ტყეში დაბინავდენ. აქ სამივე ერთად დასხდენ, იფიქრეს და ითათბირეს: როგორ ავიღოთ ქალაქი, ან მცველები რა-გვაზ ეძლიოთო.

**ფრიდონას, ავთანდილის და ტანაელის თათბირი (ჩჩეკა)
და გამანჯგება.**


ფრიდონმა სთქვა: „ჩემი გითხრათ გაწვრთენილობა სიყმაწვილით. ისრე გავიელი საბელზე, თვალს ვერ მომასწრებს კაციო. ვისროლოთ თოკი, ბურჯს მოვსდოთ და გამოვსწიოთ მაგრადო. მე გავიელი იარაღით, ჩაუხტები ვითა ქარი. მცველებს დავხოც, კარს გაგიღებთ და თქვენც მაშინ მომეშველეთო. ფრიდონს უთხრა ავთანდილმა, მამაცი ხარ, ვერ-ვინ შეგედრებო: იმედი გაქვს სიმარდისა და თან კიდევ შენი მკლავისო. მაგრამ მაინც ეგ სახსარი ვერას გვარგებს, სხვა ვარჩიოთო. აბჯრის ჩხარუნს გაგიგებენ და მცველები თოკს მოკვეცენო. ველარ გარგებს მაშინ ცოდნა და ვერც შენი მამაცობაო. სჯობს ისევე, თქვენ აქ დარჩეთ დამალული და მე წავალო. ჯორსა ავკიდებ იარაღს და ვაქრულად მოვეწყობიო. შემე-

შეებენ, ვით ვაჭარსა, მაშინ ნახეთ ჩემი ღონეო. ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო. შიგნით სისხლისა რუებიო. კლიტეს დავლევწ, კარს გავაღებ და თქვენცა მომეშველენითო.

ტარიელმა ორივე აქო: არ გაკლიათ არც გმირობა, არც რჩევა და აზრიო. მაგრამ გთხოვთ, მეც მომისმინოთ: როცა თქვენ იომეთ, ხმას გაიგონებს ჩემი მიჯნური და გადმოდგება ზემო კოშკიდან საჭკრეტადო. თქვენა ვნახავს, რომ ომი გაქეთ, მე უომრათ რა გვარ მნახოსო! ეგ შემარცხვენს მე მის თვალში, ეგ არას გზით არ იქნებაო. თქვენსა თათბირსა, ამისთვის, ვგონებ, რომ ჩემი სჯობდესო. გავიყოთ კაცი ას-ასი და ღამით მოვემზადლოთ. რა მოვიდეს განთიადი, ფიცხლავ გავქუსლოთ ცხენები, სამივემ სამგნით მივმართოთო. ისინიც მოგვეგებებიან, მაშინ ზურგი ვუჩვენოთ და გამოვიქცეთო. ისინიც გათამამდებიან, ვგონებათ დაგვამარცხეს, დააღებენ ალაყაფის კარებს და გამოგვეკიდებიან შესაპყრობათაო. ჩვენც მაშინ დაუბრუნდეთ, დავიწყოთ მათი ხოცვაო. ველარ გაგვიმაგრდებიან და საჩქაროდ ისევ ციხეში მიაშურებენ; ჩვენც მივყვით უკან, შეუხტეთ ციხეში, შევებათ და მივსცეთ სისხლისა ღვარებსაო. ტარიელის თათბირობა ყველას ძრიელ მოეწონა და ფრიდონმა ხუმრობითა თავის ძმობილს მოახსენა: „მაგა ცხენსა ჩემეულსა კარს მიასწრებს ვერა ცხენი. ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს ომი მოგიხდებოდაო, თვარა არაგზით არ გიძღენიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა.“ მსმენელებსა გაცინათ, მოეწონათ ეგ ხუმრობა. სხვაც იხუმრეს ბევრი რამე მეგობართა, სიტყვა ბრძენთა, მერმე ადგენ დავკაზმენ, წასასვლელოდ მოემზადენ. გაიყვეს კაცი სამასი, ყველა გმირების მზგაფესები. ღამე იქვე გაატარეს, მოელოდენ განთიადსა.

რა გათენდა, ცხენს დეზი ჰკრეს, შეიქმნა მათრახთ წრტიალი. სამივემ სამს კარს მიმართეს; დაცენ ვით შავარდენნი. წაუხდათ მცველებს მცველობა. ვერ დაიჭირეს გმირები. მაშინ ქაჯეთსა ეწია უსაზომო რისხვა ღეთისა. სულ გასწყვიტეს ერთიანად, ვერ იტევდა ველი მკვდართა. ტარიელისა შემყრელი მარტო შიშითა ბნდებოდა.

ავთანდილი და ფრიდონი შიგნით ერთად შეიყარენ. მოიკითხეს ერთმანეთი, მეტის-მეტად გაიხარეს. სთქვეს: „ტარიელ რა იქნაო?“—და ეძიეს, ვერსად ნახეს. მერმე ერთად წავიდნენ და ციხის კარებსა მიმართეს. იქ ნახეს რიყე აბჯრისა, ნაღვეწი ტარიელისგან. ათი ათასი მცველები ჭარხალივითა ეყარენ. ციხის ბჭენიც, დაღვეწილი იმათ თვალ წინ წარმოუდგათ. „ტარიელის ნაქმნარია, ამას



ცილი რათ უნდაო,“ სთქვეს და გვირაბში შევიდნენ, გაიარეს ხერე-ლი დიდი, ტარიელ დახვდათ ციხეში, მოხვევოდა თავის მხესა. ყე-

ვეფხისტყაოსანი

ლი ყელზედ გარდაეჭლოთ, მკერდი მკერდსა შეეწებათ. სინარულის ცრემლებს ღერიდენ, შეყრილიყვენ მზე და მთვარე. კაცის თვალი უკეთესს ქვეყნად ვერას ნახავდა. ფრიდონმა და ავთანდილმა მზის-უნახავს თაყვანი სცეს. ტურფამ მიიღო სალამი პირითა მოცინართა. აკოცა ძმურად მშველელთა და მადლობაც მოახსენა. ტარიელსაც ბედნიერსა გამარჯვება მიულოცეს. შეიყარენ სამი გმირი, ერთმანეთი მოიკითხეს.

მერმე შეკრიბეს მხედრები, რომლებიც მათ თან იახლეს. იმ სამასი კაცისაგან, ას ორმოცი აღარ ჰყავდათ. დაეზოცათ ომში ქაჯებს და მითი გული ეჯერათ. შემდეგ გაშინჯეს ქალაქი, დამალულნი ამოსწყვიტეს. იპოვეს ავლა-დიდება, გამოუთქმელი ენითა. სამ ათასს აქლემს აჰკიდეს მარგალიტი, იაგუნდი და ლაღები. სამოცი კაცი დასტოვეს ქაჯეთის ციხის მცველად. ქალი ჩასვეს კიღობანში, კმაყოფილნი წამოვიდენ. ზღვის სახელმწიფოს მიმართეს, თუმცა გზა ეშორებოდათ. ფატმანის ნახვაც მოუხდათ, გახარება და მადლობა.

გ. იოსელიანი.

(შემდეგი იქნება)



ძაწარა ბავში



შობლის წინ ბავში პატარა
 ტიტტიკებს ენა ჩლუნგია;
 მას თითქო საკვირველება
 ამბავი რამ გაუგია.

**

ცდილობს რომ უთხრას მშობელსა
 წვალობს და ეცოდვილება;
 მაგრამ არ იქნა, ვერა სთქვა,
 ენა არ ემორჩილება.

**

დააკრატუნა კიჭები,
 ჯავრობს და არ ეტირება;
 ენას რომ ვერ იმორჩილებს,
 ხან - და - ხან გაეცინება.

**

გულში კი ამბობს პატარა:
 „ჩქარა, გავიკვეთ ენასო,
 „დაუფარავად გამოეთქვამ,
 „რაც სათქმელია ყველასო“.

**

მაგრამ არ იცის საბრალომ,
 თავს ტყვილად აძლევს იმედსა;
 რაც სათქმელია ყველაფერს
 აბა, ვინ ათქმევინებსა?!

დ. კილაძე



მეფე და ოქრომჭედელი

ზღაპარი

(წარმოდგენილი გ. ნიკოლაიშვილის მიერ)



ყო ერთი ღიღებული მეფე, ჰყავდა ერთი სახელ-განთქმული ოქრომჭედელი. ეს იყო ღეთის მოყვარული და ჩინებული მოხელე. მისი ნაკეთები ნივთი ზეციდან ჩამოვარდნილს ჰგავდა და ვერც არავინ გააკეთებდა მისთანას. იყო პატიოსნებით საესე, მდიდარი და მეფესაც ძალიან უყვარდა. მხოლოდ ერთს საქმეში აკლდა მეფეს გული მაზედ. ოქრომჭედელს ერთი ახირებული ჩვეულება სჭირდა: ყოველ მეფის კითხვაზე, ასე უპასუხებდა: „ღმერთი უშველის მართალსო“. მეფეს ძალიან სწყინდა ეს სიტყვები და უნდოდა ოქრომჭედელი გადაეჩვივნა ამ სიტყვებსა; მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერა მოუხერხა-რა. ოქრომჭედელი მაინც თავისას ამბობდა: „ღმერთი უშველის მართალსო“. მეფე მეტად შეწუხებული იყო და არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს განიზრახა შემდეგი: „მოდი, ერთს საქმეს მოვაგვარებო. ჩემს საუკეთესო ბრილიანტს მივაბარებ ოქრომჭედელს, ოქროში ჩასვიო და შევუჩენ კაცს ის ბრილიანტი მოჰპაროს და უკანვე მომიტანოსო. ოქრომჭედელი იმის მგზავს ვერსად იზოენის, შესწუხდება და მაშინ მე პირობას დაეუდებ, ან ჩემი ბრილიანტი დამიბრუნოს, ან ის სიტყვები მოიშალოს; თუ არა და თავს მოვჭრიო. მეტი რა ღონე ექნება, მოიშლის. მართლაც მეფემ თავის ვეზირის ხელით გაუგზავნა ოქრომჭედელს თავის ძვირფასი ბრილიანტი და თან უბრძანა: „მოპარე ეგ ბრილიანტი და ისევ უკან მომიტანეო“. ვეზირმა მეფის ბრძანება აღასრულა. მეორე დღეს ოქრომჭედელს უნდოდა მეფის ბრილიანტის ოქროში ჩასმა; წავიდა, ნახა, საცა ბრილიანტი ჰქონდა შენახული, და შემოიკრა თავში ხელი. ბრილიანტი აღარსად იყო. რაღა ქნას? ჩავარდა ოქრომჭედელი ღიდ მწუხარებაში და წავიდა მეფესთან გამოსაცხადებლად მეტად შეწუხებული: აღარც მკვლარი იყო, აღარც ცოცხალი. მეფემ ჰკითხა: — რა უყავი ჩემი ბრილიანტიო?

— ღმერთი უშველის მართალსა, — უპასუხა ჩვეულებრივად ოქრომჭედელმა.

— ხუთი დღე ვადა მომიციაო, — უბრძანა ოქრომჭედელს გარისხებულმა მეფემ. — თუ ბრილიანტი არ მოგიტანია, მაშინ ეგ შენი საძაგელი სიტყვები უნდა დაივიწყოვო და თუ არ დაივიწყებ, თავს გაგაგდებინებო.

წამოვიდა ოქრომჭედელი, მეტად დაღონებული. გზაზე შეხვდა ერთი მეთევზე, რომელსაც ახალი დაჭერილი ორაგული მოჰქონდა. ოქრომჭედელი თევზის მოყვარული იყო, იყიდა და შინ წამოიღო. ცოლი შემოეგება წინ მხიარული სახით და ჰკითხა მეფის ამბავი. ოქრომჭედელმა უპასუხა: „ღმერთი უშველის მართალსაო“. ცოლმა გაიხარა, რადგან ამითი დარწმუნდა, რომ მეფეს უპატიებია მისთვის დანაშაულობაო. გამოართვა თევზი და შეუდგა სადილის კეთებას. როგორც გაფატრა თევზი, მუკლიდან მეფის ბრილიანტი გადმოუვარდა. ცოლმა სიხარულით შეურბენინა ქმარს ეს ძვირფასი თვალი. ოქრომჭედელი აღტაცებაში მოვიდა და წამოიძახა: „ღმერთი უშველის მართალსაო!“

თურმე ვეზირმა რომ მოპარული ბრილიანტი მეფეს დაუბრუნა, მან შეინანა თავისი სიფიცხე და ბრძანა: „ამ ეშმაკის თვალმა რომ მეორედ ცოდვა არ შემამთხვიოსო, წაიღეთ და ზღვაში გადააგდეთო. როგორც კი გადააგდეს, მაშინვე ორაგული ეცა და გადაყლაპა. შემდეგ ორაგული მეთევზის ბადეს მოხვდა და მეთევზემ, როგორც ზემოთა ვთქვით, ახალი დაჭერილი ორაგული ოქრომჭედელს მიჰყიდა.

ოქრომჭედელი მაშინვე შეუდგა თვალის ოქროში ჩასმა, საუცხოვოდ გააკეთა ზღდანის ულს ვადაზე მეფეს მიართვა ამ სიტყვებით: „ღმერთი უშველის მართალსაო.“

მეფეს ძალიან გაუკვირდა ეს ამბავი და გამოჰკითხა, რა ნაირად იპოვნა მან დაკარგული თვალი. ოქრომჭედელმა ყოველივე დაწერილებით მოუყვა. მაშინ მიხვდა მეფე, რომ ზღვაში მისი თვალი ორაგულს ჩაუყლაპავს. ამას შემდეგ მეფესაც სასიამოვნოდ გაუხდა ოქრომჭედლის სიტყვების მოსმენა და თვითონაც ხშირად იმეორებდა: „ღმერთი უშველის მართალსაო. ამიერიდგან ოქრომჭედელი კიდევ უფრო შეიყვარა მეფემ და დასახუქრა.





პატარა-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეტამეტე

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა.“
შოთა



აუვიწეარო ძმაო ლაღო! ერთი უცნაური ანბანვი უნდა გიამბო. ჩვენ ღვინა ძროხას ისეთი ლამაზი სბო ჰქვანდა, რომ კაცი ეურებით ვერ გაძღუბოდა. ნეტავ გენახა, ძმაო, მისი ალტაცებული კუნტრუში და სირბილი. მოედი დღე ესოში დაბოდა. ისეთი მხიარული იყო ხოლმე, რომ ადამიანსაც კი შეშურდებოდა.

წარმოიდგინე, ამ ერთი თვის წინეთ რაღაც დაემართა ჩვენ ძრეშას (ასე ვეძახდით ჩვენს საეგარელოს სბოს). გეგონებოდა მოწვევებული ვარდი დაჭსჭენაო; ეურები ჩამოყარა, თვალები აქმღვრია, ჩამოხმა, ბაღანძაც ცვივნა დაუწყო, თითქოს გაქეციანდაო. ისეთი სანახავი გახდა, რომ სწორედ შეგებრალეობდა. სადღა იყო მისი ცელქობა და კუდ გაშვერილი სტუნვა! ჩვენს მოჯამაგირესაც ძრეელ შევარდა ჩვენი ძრეშა და კარგათაც უვლიდა. იმ დღეს ზურგს ხელით უწმენდა და თურმე ნუ იტყვი სბოს ტვაზ-

ში რაღაც კორძები ეპოვნა. კორძისთვის ხელი მაგრა მოეჭირა და აკი ვეებერთელა ჭია ამოვარდნილიყო? აი, დასწვევლოს დმერთმა! ჩვენებს ეველას გაუკვირდათ. მერე საღამოთი სტუმრები გვეწვიენ და დედამ იმათ უამბო, ძღვდეღმა სთქვა, რომ ეგ ხშირად მინახავსო და მიხეხიც ეგ ჭიები ეოფილან, რომ ხბო მაგრე დავარდნილაო. ახლა, ძმაო, მე ის მინდოდა შემეტეო საქონლის ტყავში საიდგან და რა მიხეხათ ჩნდებიან ჭიები. ძალომ გვითხრა, ავი თვალიაო. მეორე გვარწმუნებდა, წვიმის ბრალიაო. ძღვდეღმა ძიამბო, რომ მე ჩემი თვალით მინახავსო, ეგ ჭიები შიგ ტყავშივე ღვებინან სოლმეო.—ზირში თქმას კი აბა როგორ ვაკადრებდი და გულში კი ვიფიქრე, თუ ეველა ჭია ტყავშივე ღვება, რატომ აქამდე არ მოისვენ, ახლახალი თაობა საიდან და ჩნდება?

აი, ამ გვარ არეულ აზრებით, ეჭვით სახსე მივედი ჩვენს საუბარელ, დაუღალავ მასწავლებელთან. მასწავლებელს ძრეელ მოეწონა ჩემი კითხვა და გაუკვირდა კიდევ, საიდგან გაძონახავ სოლმე მაგ გვარ საეურადღებო ამბებსაო, მითხრა მან. მერე, აი, რა საკვირველებანი ძიამბო:

«თუ ნაცნობი არ გეოლია, გაგეგონება ხომ ძანც იძისთანა კაცის სახელი, რომელიც მუქთა-ხორად ცხოვრობს—თითონ არას ირჯება და სხვის ოფლით იკვებება. ამ გვარადვე ბუნებაში ძრავალი ცხოველია და ასე გასინჯე ძცენარეცა, რომელიც მუქთა-ხორაობენ, ძცენარებში ერთს მუქთა-ხორას შენც იცნობ, მაგალითად ფითრი, ეს ძცენარე არხეინად მოთავსდება სოლმე ან მსხლის ხეხეან

პატარა-პატარა სამეცნიერო წერილები

მუნაზე, ძაფის სისხო ძირკვებით ჩააკვდება ხეს ქერქში და თავის საკვებაჲ საზრდოს უზრუნველად სწოვს სიღვან.

ცხოველებში ხომ აძისთანა ძაგალითი ბევრია და მეტადრე ჭიებში ათანობითაჲ. მეცნიერებს ძრეელ კარგათ ჭეავთ შესწავლილი მუქთა-ხორა ცხოველები, რომელთაც ბერძნულ სახელს პარაზიტოს უწოდებენ და ვეებერთელა წივნებიცაჲ მათ შესახებ დაბეჭდილი და მე კი აქ მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ადამიანს მუქთი მჭამელი ჭეავს მუცელში, მოგრძო, მრგვალი და პრტეული ჭია. ამასთანავე ვინც თავს და ტანს ფაქისათ არ ინახავს, იმისი პარაზიტები მებენარი ტილები არიან. ტანზედ რომ ქეცი დაემართება ხოლმე კაცს, ეგაც ერთ გვარ თვალთ უხილავი ჯღიბისაგან წარმოსდგება, რომელიც უფაქისო ადამიანის ტანში პარაზიტობს (მებენარობს).

მაგრამ აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რო ამ მებენართა ცხოველებში არიან იმ გვარნიც, რომელნიც მხოლოდ დროებით მებენარობენ და მერე კი შორდებიან თავის პატრონს (ანუ მსხვერპლს) და თითონვე იწეებენ ხოლმე შრომით ცხოვრებას — ძაგალითად მწერებში (ბუხებში) ბევრი იმისთანა მებენარია, რომელიც მხოლოდ იქამდე პარაზიტობს და იკვებება სხვის ხარჯზედ, ვიდრე ახლად გამძრევილი ჭია, ბუხად გადაიქცეოდეს.

სწორედ ამ გვარ მწერების მსხვერპლად გამხდარა თქვენი ხბოც და აი, როგორ: ერთ ნაირი ბუხია, ფუტკარს წაბავს, მაგრამ ტანი უფრო მოკლე აქვს. ამ ჯიშის ბუხი ბევრ გვარია — ხოგი ცხენს ირჩევს ხოლმე თავის მსხვერპლად და ხოგიც საქონელს, ძაგალითად, როცა საქონლის ბუხს კვერცხის დადების დრო მოუვა, მანში,

ანუ თიბათვეში, უკბენს სოლმე საწყალ სბოს, რადგან უფრო ჩვილი ტყავი აქვს და მერე იმ ნაკბენ ალაგებში კვერცხებს ჩაუწეობს. ის არი და ის, ალარაფრის დარდს და დედის მოვალეობას ის ალარ ეწევა — კვერცხებიდგან რამდენიმე დღის უკან მატლები გამოიჩეკებიან სოლმე და იქვე ალაგობ-რივ სბოს სორცით იკვებებიან. ეს მკბენარბი, მუქთანორა, დაუნატიკებელი სტუმრები იქამდე სწუწნიან სბოს სისხლსა და სორცს ვიდრე დაიწრდებიან. ამ დაწრდილ ჭიებს ჩვენში ჯლიბას, ანუ ტკიპას ეძახიან. მერე ეს კუტი ჭიები ფრთებს შეისხმენ და რაღა თქმა უნდა ამოფრინდებიან სოლმე და მამანაპურ ცხოვრებას ეწეობიან» ..

მე დავიწყე ჩემებურად; ჰეი დედა, დედა, რა ამბები ყოფილა ქვენიერებასე მეთქი, მაგრამ ვიდრე გაცეებიდგან გამოვირკვეოდი, მასწავლებელმა შემოდცინა: მაცა, ისეთი ამბავი უნდა გიამბო, რომ მკონი, არც კი დაიჯეროო.— ერთი მწერის ამბავიც უნდა გიამბოო, რომელიც თუძცა მკბენარბთ არ ჩაითვლება, მაგრამ თავის შვილების გამო-სასდელად კი უფრო ოსტატურად იქცევაო და მართლაც დიდ ძალას და ჭკუას იჩენსო. მერე მოიტანა ერთი წიგნი გადაძალ-გადმოძალა და მითხრა: აბა, ამ სურათს დააცქერდოო. იმ წიგნიდგან კიდევ, აი, რა ამოი-კითხა:

«თუძცა კაცი ძრიელ ამხუობს თავის უწირატესობით, დანარჩენ ცხოვლებთან შედარებით, მაგრამ იშვიათი არ არის ის მაგალითიც, როცა აშკარად ვხედავთ, რომ სოკი-ერთა უბრალო მწერიც კი სჯობნის კაცს თავის მხნეობით და ღონით და თითქმის ჭკუითაც.

მაგალითად, დეე, ჩვენგანმა ვინმემ ცარიელი ხელით, უიარაღოდ, ჩაფლას მიწაში კამეჩი ან აქლემი, წინათვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ გვარი მოქმედების მსურველი ძრიელ ბევრ დროს დაჰკარგავს, ბევრს ოფლსაც დაღვრის და ვერავითარ მიზანს კი ვერ მიაღწევს, ვიდრე იმოდენა ორმოს ამოთხრას შესძლებდეს, რომ კამეჩი ჩაეტიოს, ამ მუშაობას მთელ თავის ძალ ღონეს შეაღწევს და იმ სიძმიე კამეჩის ორმოდე გადათრევას ხო ვერც კი მოერევა. მაგრამ, აბა, შესედეთ ზაწია მწერს, ის ამ გვარი მუშაობას ასრულებს ორიოდ საათში.

ამის დასამტკიცებლად გადაგდეთ სადმე მინდორში მკვდარი თაგვი, ან თხუნელა (მუღო) და სწვა ამ გვარნი; რამდენსადე ხანს უკან შეაძინეთ, რომ ამ უზატრონო მკვდარს ჭრელი რამ მწერი დაზატრონებია. ეს მწერი (ბუსი) სამოთხ საათის განმავლობაში ამ უზატრონო მკვდარს გაუთხრის საფლავს და ისე ჩამარხამს, რომ კვლიც კი ვეღარ ვხედავთ. ახლა აბა შედარებით ვიანგარიშოთ: თხუნელა იმდენად გადამატება ბუსს, რამდენათაც კამეჩი კაცს გადამატება თავის სიდიდით. იქნება ვინმე გეწეინოთ ეს შედარება და თქვენით თავი უფრო ღონიერი გეგონოთ. მამკარგი. აი, თუ ცხურსთ გამოსცადოთ, თვალ ეური ადვენეთ ჩვენ ნათქვამ ბუსს და რა წამს ის შეუდგეს საქმეს თქვენც მამინ დაიწეეთ მიწის თხრა და ნებაც მოგვიციან ბარით, წერაქვით და ნიხით იმუშავოთ. მამინ ამკარად დარწმუნდებით, რომ თქვენ რამდენიმე დღე და იქნება მთელი კვირაც მოუნდეთ, ვიდრე კამეჩის მოსათავსებელ ორმოს ამოსთხრიდეთ და ჩვენი ნათქვამი ბუსი კი ორ სამ

საათში ისე მიძინავენ ვეებერთელა თხუნველას (მუდოს), რომ წამლათაც ველარ იძოვით.

ასლბ, რასაკვირველია, იკითხავთ, რა თავში იხლის ის არა მკითხე ბუხი მკვდარ თავს და რა თავს იტკიებს მისთვისო და რა გაჭირება ადგია, რომ ამდენი წვალუბით მას მარხავსო. ამის ჰასუსი ადვილია. ჩვენი ნათქვამი ბუხი დედანშვილურის სიუვარულით არის გატაცებული და ამ მიხნით წვალობს და იღწვის, რომ სადმე სორცის ნაჭერი იძოვოს თავის მოძავალი შვილების გამოსაკვებად. ამ სორცის ნაჭერს, ანუ მკვდარ ჩიტს, ან თავს და სხვას, ჩაფლავს თუ არა მიწაში, მაშინათვე შიგ სორცში (მძორში) კვერცხებს ჩასდებს სოლმე და როცა კვერცხებიდან ჭიები (მატლები) გამოიჩეკებიან, ეს ახალი თაობა იმ სორცის ნაჭერს დაესვევა სოლმე და იქამდე იკვებებიან ამ სასრდოთი, ვიდრე კარგად დაიხრდებიან, ფრთებს შეისხმენ, ბუსებად გადაიქცევიან, ამოფრინდებიან და მამაპაპურად იცხოვრებენ. ასლბ იმასაც იკითხავთ, რადასათვის ჭფლავს, დეე, ისე ჩადოს სოლმე კვერცხები მძორ რამ ნაჭერშიო. აქ ბუსს ჭკუა იქამდე უჭრის, რომ მიწაში უფრო დიდხანს შეინახება მკვდარი ცხოველის ნაჭერი და ვიდრე სორცი დალწებოდეს, მისი შვილები მოასწრობენ კიდევ იმ სორცით გამოკვებას და ბუსებათ გადაიქცევიან.

ისიც მეტად საკვირველია, რომ ჩვენი მესაფლავე მწერი განურჩევლად როდი ეტანება ეველა მძორს, ის მხოლოდ სოგიერთა ცხოველის მძორს აძლევს უპირატესობას, მაგალითად, აბა, კადაგდეთ მკვდარი ბაყაყი, მესაფლავე მწერი არ მიეკარება, მაგრამ საკმაოა ბაყაყის მაგიერად



მკვდარი თავი გადაგდოთ, მაშინათვე შენიშნავთ მომუშავე ბუხს, რომელიც გაცხარებული ცდილობს საჩქაროდ ჩამარხოს მძორი მიწაში. სოკჯერ კაცს იქნება ოვალი-თაც არ ენახოს ეს ჩვენი ნათქვამი მესაფლავე ბუხი, მაგრამ საიდღანაც კი გაჩნდება ხოლმე, ოღონდ კი თავის სასურველი მძორის სუნი მიუვიდეს.

ძლიერ საყურადღებოა მესაფლავე ბუხის მუშაობაც. მასწავლებელმა მიჩვენა სურათი. მესაფლავე ბუხებს მკვდარი ჩიტის ეზოვნათ მინდორში და დახვევოდენ უზატრონო მკვდარს. ორი შემოდგან ეჯახგურებოდა, ორიც ქვეშ შემოძოდა და ორდოს უთხრიდა, ორიც ახლად მოფრინავდენ. მარცხნივ კუთხეში მაკ ბუხების მატლები და ზარკები ევარენ.—ამ გვარად როცა მესაფლავე ბუხი მძორს ასაფლავეებს და მიწას სთხრის, თითონ სოკჯერ არც კი სჩანს: ქვეშიდგან მოექცევა ხოლმე იმოდენა მძორს და იქ ძალზედ მუშაობს და აღრმავეებს ორდოს. მყურებელს კი იპე ჰგონია, თავის თავად იფლობა და მიწაში ჩადის თავის, ან ჩიტის მძორით, თითქო წეალება ჩაძირაო.

მეცნიერებსდიდ ხანს არ სჯეროდათ, რომ ზაწია ბუხს აძდენი მოსახრება შეეძლოს, მაგრამ ეს ახრი სრულყოფით დაძტკიცებულია, რადგან ბევრმა მეცნიერმა გაძმოკვლია და თვალყური ადევნა ამ საყურადღებო მოვლენას.— ეველას ჩვენგანსაც, ვისაც კი მოთმინება შესწევს, ადვილად შეუძლიან თითონვე დაწმუნდეს და საფხულის დღეში თითონვე თვალყური ადევნოს ჩვენ ნათქვამ ბუხს და მის შრომას.

ძმაო ლადო, აბა რაღა თქმა გინდა აძდენ საოცარ ამბებისგან კარგად იცი, რაც დამეძარტებოდა. მასწავლე-

ბელი დამზირდა, ამ საფხულს სასეირნოდ რომ ვივლით, უეჭველად შენი თვალთ გაჩვენებ ნაძღვილ ცოცხალ სურათს, რომელსაც ესლა მხოლოდ ქაღალდზედ დახატულს სედავო.

მშვიდობით ძმაო ლადო. ძაგნამ თუ შენც იტყვი ძებენარა ცხოველების აძბავიც ძრეელ საეურადღებობა. ღმერთმა გვაძოროს, ძმაო, სხვისი ოფლით სარგებლობა, ღმერთსა ვსთხოვ, შეკვამლებინოს ჩვენი ოფლით სხვა ვაცხოვროდ, არამ თუ ჩვენ სხვის შრომით ვიკვებებოდეთ.

დავშთები შენი გამარჯვების მსურველი

ილიკო



ჩიტის ბუდე ალუბალზედ



ებიაჲ, ბებიაჲ, აკი და
ძნირდი რომ დაწოლის დროს
აძბავს მოძიეუები, სთქვა ექვსი
წლის სანდრომ.

— მეც დაგიგდებ ეურს, ბებიაჯან,
უთონა ძასუდ უფროსმა ლიხიკომ.

— მეც სომ მეტევი აძბავს, წამო-
იძახს სულ ჰაწაწინა გაბრომ.

— კარგი, კარგი, ეძაწვილებო, სუ დამაურუეთ, თქვენვინ აგი-
ვათ. ანა, მოუვეები აძბავს და თქვენ ეური კარგად დამიგდეთ.

«იყო და არა იეორა, იყო ერთი ჰატარა ლევანი, ცეღქი და
მოუსვენარი; აი, როგორც შენ, სანდრო ერთხელ ლევანმა დაი-
ნახა ბადში, ალუბლის ხესუდ ჩიტის ბუდე, შიგ იჯდა ექვსიოდ
ბარტევი ახლად გამოხეკილი. ჯერ ღინღლი არ ჰქონდათ. სულ
ტიტვლები იყვენ. დანახეს თუ არა ეძაწვილი, დაადეს ნისკარ-
ტები, თითქოს საშველად დედ-მამას უძახიანო. ლევანმა არ შე-
იბრაღა ბარტეები და საბრალონი ამოასხა ბუდიდან და შინ
წაიუვანა.

— რა უგულო და ბოროტი ყოფილხ, სთქვა ღიზიკომ. სანდრომ თავი ჩაღუნა. ბებიამ, განაგრძო:

ამ დროს მოესმა ლევანს ვიღასიც ხმა: «როდესაც ძანისი დადგება, ალუბალი ძოისხამს თეთრს ყვავილს, მაგრამ თიბათუეში კი ალულის ხეს ბალი არ ესხმება.» ლევანს უყვარდა ალუბალი შენსავით სანდრო და ამ ხმამ ჩააფიქრა.

ეს ვიღასიც ხმა ხელმეორედ მოესმა ემაწვილს, სთქვა ბებიამ. «სანამ ალუბალი დამწიფდება სამაგელი ჭიები მიუხვევიან ალუბალს და შესჭამენ. ლევანს რომ ბარტყები არ ამოესხა ბუდიდან ესენი ჩიტებათ განხრდებოდნ და კადაულაზავდენ იმ სამაგელ ჭიებს. ალუბალი გადარჩებოდა და მაშინ ლევანი ბლომად მიირთმევდა ალუბალს». ამის გაგონებაზედ ლევანმა მაშინვე განაქანა ბარტყები ბუდისაკენ, მაგრამ კვანთად საბრალონი სულ ერთიანად დანოცვენ.

— საწყალი ბარტყები, წამოიძახა ვაბრომ.

— მამ ჩვენც წრეულს ალუბალი არ გვექნება, სთქვა ღიზიკომ და შესედა სანდროს.

სანდრო ტირილით მივარდა ბებიას და სიტყვა მისცა, რომ კვლავ აღარ ამოასხამს ბარტყებს ბუდიდან.

ან. თ—წ—სა.





მთვარის ახსნა.

მართს სალოსს ჰკითხეს: ეს რა არი ცაზედ ღამით რომ რგვლად ანათებსო და მთვარეს ეძახიანო?

„ეს ის გახლავთ, უპასუხა სალოსმა, რადგან ბოროტი კაცები ბევრნი არიან ქვეყანაზედ, რომელთაც ბნელი ღამე უყვართ, ღმერთმა ეს სანათური დაუდგა, რომ იმათი საქმე არ დაიმალოსო.“



ყვავილების ლაპარაკი.

იყო ერთი მდიდარი კაცი, მაგრამ საშინელი ძუნწი. რაც უნდა კარგი მოსავალი შეეკრიბა, ღარიბ კაცს არ უზიარებდა. სახლის წინ მშვენიერი დიდი მინდორი ჰქონდა და ზედ ეკლესია ედგა. ხშირად ხალხი ლაპარაკობდა მასზედ რომ უმოწყალოაო, მაგრამ პირში თქმას ვერავენ უბედავდა.

ერთხელ ერთმა ახალგაზღამ ამ მდიდრის კარის წინ ტიტველა მიწაზედ ჯოხით ასოები გამოიყვანა და მერე ზედ ყვავილის თესლი დათესა, ზევიდამ თესლს მიწა წააყარა, რომ ფრინველს არ აეკენკა და წამოვიდა შინისკენ. ერთ კვირა დღეს, ლოცვა რომ გამოვიდა, ხალხმა შენიშნა მდიდრის კარის წინ წითელი ყვავილები ამოსული. დააცქერდა და ამოიკითხა: „ძუნწი ნუ იქნები.“





ანდამები.

1. შეგნებულთან ომი სჯობს, შეუგნებელთან ლხინიო.
2. ღვინო უფროსსაო, წყალი უმცროსსაო.
3. ყვაემა ყვეს ყრინტი წასძახაო.
4. ენითა მუნჯი სჯობია, ავმეტყველ მოუბარესა;
ათასი მტერი სჯობია, ერთ უმგზავსო მოყვარესა.

საღეთო გამოცანები.

(წარმოდგენილი ა. დავითაშვილის მიერ.)

მე ერთი თვალი მინახავს, არ არის სხვათა მგზავსია;
მაგრამ ასეთი თვალია, არ დაედების ფასია.
ის თვალი სამათაც ითქმის; მაგრამ ერთისა მგზავსია.
მას გარეშემო ცხრა შადა მარგალიტები ასხია.

გამოცანას მოგახსენებ უცხოსა და დიდებულსა:
მრავალ ფერად გამოუჩნდა ტომი ტომთა წოდებულსა;
შეეხედე და ლომსა ჰგავდა, პირში მახვილ ჩადებულსა;
სიტყვით იმისკენ მიიქცა, მისთვის ცნობა-წადებულსა.

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკის მიერ)

ფოთოლზედ უმრავლესათა ერთი დედა ზრდის შეილებსა;
დაზრდის და თვითონვე შესჭამს, დაუკრაჭუნებს კბილებსა.

შ ა ი რ ი

(წარმოდგენილი თ. ხუსკივაძის მიერ.)

თოფმა უთხრა გოგონასა
ბევრჯელ გაჰმევ ლობიასა,
შენ ის კაცი არ იყავი?
დამიწინდე ოტიასა.
ჩამომიღებდენ ბავშვები,
დამიწყებდენ ფხოკიალსა.

ს ა მ ა თ ე მ ა თ ი კ ო გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკის მიერ.)

ორი ჩხირიდან შეადგინეთ ათი.


რამდენი უხმო ასო უნდა ავიღოთ და სახელობრივ რომელი უხმო ასო უნდა იყოს, რომ შესდგეს ისეთი სახელი, რომლისათვისაც კაცი შრომობს ცხოვრებაში?

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. ამ ცხრა რიცხვიდან შეადგინეთ, სხვა ისეთი რიცხვები, რომ გამოვიდეს ასი.

შ ა რ ა დ ა

ერთსა სიტყვას მოგახსენებ, ქართულია დამიჯერე,
ორი სიტყვა შიგ გამოდის, ცალკე-ცალკე თუ დაწერე;
პირველია კლდის ნატეხი, მით კეთდება გზა და ყორე.
მეორესა გამოიცნობ, ნაღებს წარბებს თუ შეჰყურე.
ერთად სახელია მადნის, ბევრი გააქეთ სამზღვარ გარე.
ჩვენში ბევრი დაამდიდრა, ვინცკი დარჩა მის ამარე;
დიდნი, მცირენი შეიქმნენ ყველა მისი მაძებარე;
მისით უცხოეთს განითქვა ეს ლამაზი ჩვენი მხარე.

ბ ე ბ უ ს ი



№ IV-ის გამოცანების ახსნა.


1. ახალ-დაბადებული ბავშვი; 2. ტომარა; 3. ბორკილი 4. შრო-
შანი.

აკრესტისი: შოთა.

სამატემათიკა გამოცანა: პატრონი ცხენს აფასებდა
146,672 მანეთად და 15 კაპეკად.

შადადა: ქალაქი.

ბეუსი: ერთს სოფელში გველი ხეებზედ ქორს უყურებს.



„ივერია“

ვაშლი 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკავებოდეს გაზეთი 1893 წლისათვის,

მ ი ჯ მ ა რ თ ო ს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21, ბ) „ქართველთა-მორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარი წლით—6 მანათი.

მალე დაიბეჭდება და გადაეყვება გასასყიდად ყველა წიგნის მალაზიებს
ვალერიან გუნიას მიერ უაღვანელი

საქართველოს კალენდარი

1893 წლისთვის

დასრულებული ძრავალი სურათებით

ფასი 45 კაპ.

უბის წიგნი

1893 წლისთვის

მშვენიერი ყლით და ყარანდავით

ფასი 40 კაპ.

სახალხო კალენდარი

ძრავალ გვარ საჭირო ცნობებით

ფასი 10 კაპ.

უმთავრესი საწყობი

წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის ძალაზიაში

წიგნის მოვაჭრეთა დაეთმობათ ჩვეულებრივი პროცენტო

საქმასწავლებლო სურათებიანი ქურნალი

ჭეჯილი

წელიწადი მესამე

გამოვა 1893 წელსაც აგრეთვე ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჭეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო გამოცანები, იგაეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ქურნალში მონაწილეობის მიღება აღბეჭდვით ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი „ჭეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჭეჯილის“ რედაქციაში (Красногорская ул., д. № 7 Назарова).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. შურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძისას.

შოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.